აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 102-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№41 (24.921) ხუთშაბათი, 21 - 27 აპრილი, 2022 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 13-18, შიდამთიან რაიონებში - 10-15, მაღალ მთაში - 5-10 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 13 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 761 მილიმეტრი.

ხვალ მოსალოდნელია წვიმა, მომდევნო 2 დღეს - უნალექო ამინდი.

ეროვნული ოლიმპიური ბჭე ყიცვალოდ ღღეისაწყალს!

საქართველოს მულტიფუნქციურ რეგიონულ ჰაბად გარდაქმნისთვის

მსოფლიოს ერთ-ერთმა უმსხვილესმა ფინანსურმა ჯგუფმა Rothschild & Co-მ საქართველოს მულტიფუნქციურ რეგიონულ ჰაბად გარდაქმნის სტრატეგიის პირველადი დოკუმენტი შეიმუშავა. დოკუმენტის სამუშაო ვერსია კომპანიის მმართველმა დირექტორმა არიელ მალარდ დე როტშილდმა გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს წარუდგინა. სტრატეგია მოიცავს კონკრეტულ პროექტებსა და ნაბიჯებს, რომლებიც საქართველოს მულტიფუნქციურ რეგიონულ ჰაბად გარდაქმნას შეუწყობს ხელს.

სტრატეგიის მთავარი პრიორიტეტებია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, თანამედროვე ფინანსური, ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვა, ქვეყანაში ძლიერი ფინანსური ცენტრების განვითარების ხელშეწყობა და კაპიტალის ბაზრის განვითარება.

პრემიერ-მინისტრმა კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს მთავრობის სრული მზადყოფნა, რათა სტრატეგიაში გაწერილი პროექტები მაქსიმალურად მოკლე ვადებში და ეფექტიანად განხორციელდეს.

შეხვედრას კომპანია Rothschild & Co-ს წარმომადგენლები პიერ ადელინი და ელა ტრედი, კომპანია KAISER PARTNER-ის აღმასრულებელი დირექტორი შტეფან ლინიგერი და KAISER PARTNER-ის წარმომადგენელი ტილა კავენგი ესწრებოდნენ.

კომპანია Rothschild & Co-სა და საქართველოს მთავრობას შორის ხელშეკრულებას საქართველოს მულტიფუნქციურ რეგიონულ ჰაბად გარდაქმნის სტრატეგიის შემუშავების თაობაზე ხელი ბრიუსელში ირაკლი ღარიბაშვილის ვიზიტისას მოეწერა. შეხვედრაზე, რომელიც საქართველოს პრემიერსა და კომპანია „Rothschild & Co“- ს მმართველ დირექტორს შორის გაიმართა, აღინიშნა, რომ კომპანია ასევე იმუშავებს საქართველოში დამატებითი ფინანსური რესურსებისა და გრანტების მოზიდვის მიმართულებით. მაშინ კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი საქართველოში არსებულ ხელსაყრელ საინვესტიციო გარემოს და მსხვილ საინვესტიციო პროექტებს, რომელთა შეთავაზებას უცხოელი ინვესტორებისთვის საქართველოს მთავრობა გეგმავს. მათ შორისაა, როგორც ფინანსური ცენტრების შექმნა, ასევე მსხვილი ტურისტული, ლოგისტიკური და ინდუსტრიული პროექტები.

„Rothschild & Co“ მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი, დამოუკიდებელი ფინანსური სერვისების ჯგუფია, რომელიც მსოფლიოს 40-ზე მეტ ქვეყანაში საქმიანობს.

ანა ჩხიკვაძე

ახალი რეანიმობილი – აჭარის მთიანეთის მოსახლეობისთვის

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრმა, სამედიცინო სერვისის სრულფასოვნად და ხარისხიანად მიწოდების მიზნით, მოსახლეობისა და ადგილობრივი ხელმძღვანელობის მოთხოვნის საფუძველზე, მთიან აჭარას ახალი, მაღალი გამავლობის რეანიმობილი გადასცა

ევროსტანდარტების შესაბამისი, თანამედროვე სამედიცინო აპარატურით მომარაგებული რეანიმობილის გადაცემის პროცესს აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის სამედიცინო უზრუნველყოფისა და გამოძახებათა მართვის დეპარტამენტის უფროსი ამირან გოგიტიძე, აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ნინო ნიჟარაძე, ხულოს, შუახევისა და ქედის თვითმმართველობის, მოსახლეობის წარმომადგენლები დაესწრნენ.

- რეგიონის მთავრობის თავმჯდომარის და საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის პირადი ჩართულობითა და გადაწყვეტილებით, აჭარის მთიანეთისთვის გამოყოფილია რეანიმობილი, რომელიც მუდმივად გაჩერდება ხულოს მუნიციპალიტეტში, თუმცა მოემსახურება სამივე მუნიციპალიტეტის მოსახლეობას. ძირითადად ის განახორციელებს მძიმე და გადაუდებელი სამედიცინო სერვისების საჭიროების მქონე პაციენტების ბათუმის კლინიკებში გადმოყვანას, იმ შემთხვევში, როცა ამ სერვისის მიწოდება რთულდება ადგილზე არსებულ სამედიცინო ცენტრებში.

შეირჩა შესაბამისი განათლებისა და გამოცდილების მქონე სამედიცინო პერსონალი, რომლითაც დაკომპლექტდა რეანიმობილი. ისინი საქმიანობას უკვე შეუდგნენ, - გვითხრა ნინო ნიჟარაძემ.

რეანიმობილით ყველა სიმძიმის პაციენტის ტრანსპორტირება იქნება შესაძლებელი და მთიანი აჭარის მოსახლეობა გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებას დროულად მიიღებს.

აღსანიშნავია, რომ ხულოში დაიწყო სასწრაფო დახმარების ცენტრის მშენებლობა.

კრიალოსა N იუსი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი აზერბაიჯანის მილი მეჯლისის თავმჯდომარე საჰიბა გაფაროვას შეხვდა. ისაუბრეს საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობასა და სტრატეგიულ პარტნიორობაზე. ყურადღება გამახვილდა ეკონომიკური კავშირების გაძლიერებასა და რეგიონის უმნიშვნელოვანეს სატრანსპორტო-ენერგეტიკულ პროექტებზე. მთავრობის მეთაურის თქმით, მისასალმებელია ორი ქვეყნის მთავრობათაშორისი ეკონომიკური კომისიის სხდომების განახლება. საჰიბა გაფაროვას შეხვდა, ასევე, საქართველოს პრლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი.

* * *

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სხდომაზე კიბერუსაფრთხოების და ჰიბრიდულ საფრთხეებთან ბრძოლის მიმართულებით ნატო-საქართველოს თანამშრომლობაზე ისაუბრა უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევების სფეროში ნატოს გენერალური მდივნის თანაშემწის მოადგილე ჯეიმს აპატურაიმ. ის საქართველოში ნატო-ს ქვეყნების მთავრობების გადაწყვეტილების ფარგლებში იმყოფება.

* * *

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებები განიხილეს მთის განვითარების ეროვნული საბჭოს სხდომაზე, რომელიც პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით გაიმართა. 3 წლის განმავლობაში დაგეგმილია 968.5 მლნ ლარის ღირებულების პროექტები მაღალმთიანი დასახლებების როგორც ინფრასტრუქტურული, ისე სოციალური მხარდაჭერის მიზნით, რაც 29%-ით აღემატება წინა პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელს. საბჭოს სხდომაზე ირაკლი ღარიბაშვილს წარედგინა „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი სოციალური შეღავათებით სარგებლობის და მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან დაფინანსებული პროგრამების შესრულების 2021 წლის ანგარიშები.

* * *

საქართველოს პარლამენტში „ლელოს“ წევრების მიერ „ეროვნული ანტიკორუფციული სააგენტოს შესახებ“ საკანონმდებლო ინიციატივა განიხილეს. კანონპროექტის ერთ-ერთი ინიციატორის ანა ნაცვლიშვილის განცხადებით, უნდა შეიქმნას დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანო - ეროვნული ანტიკორუფციული სააგენტო, რომელიც კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას შეუწყობს ხელს. ინიციატივას მხარი არ დაუჭირეს. რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის, ირაკლი ზარქუას განცხადებით, სახელმწიფოში უკვე არსებობს ანტიკორუფციული სააგენტო და ალტერნატიული სააგენტოს შექმნის საჭიროება არ არის.

მოამზადა
ია შველიძემ

ორი მნიშვნელოვანი ობიექტის რეკონსტრუქცია

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

შემოდგომაზე დაბა შუახევს „ურბანული განვითარების“ პროგრამით მობილიზებული თანხებით რეკონსტრუირებული ორი მნიშვნელოვანი ობიექტი შეემატება. ხარაჩოებშია კულტურის ცენტრის შენობა. დამაკმაყოფილებელი ტემპით მიმდინარეობს სტადიონის კეთილმოწყობა. ორივე ობიექტზე 2 მილიონ ლარზე მეტი იხარჯება

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს კომისიის თავმჯდომარე ფრიდონ ფუტკარაძესთან და შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებთან ერთად, მიმდინარე სამუშაოებს გაეცნო.

რეგიონის პირველ პირს ცალკეულ საკითხებზე განმარტებებს აძლევდნენ შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე.

- ხანგრძლივმა ზამთარმა ყველაფერს უარყოფითი კვალი დაამჩნია. მშენებლებსაც სათანადო პირობები არ ჰქონდათ, აპრილიდან კი საქმეს შეუდგნენ. თვალის ერთი გადავლებითაც ცხადია, რომ აქტიურად მუშაობენ და კონკრეტულ ვადებში დაასრულებენ სამუშაოებს, - თქვა მთავრობის თავმჯდომარემ.

33 წელი – ტრაგედიიდან

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

საქართველოს მრავალი ტრაგიკული დღე ახსოვს. ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ წაბლანაში 1989 წლის 19 აპრილს დატრიალებული უბედურება მოუშუშებელ ტკივილად რჩება. ამ ტრაგედიიდან 33 წელი გავიდა

19 აპრილს აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე ტრაგედიის ადგილზე რეგიონის, ხულოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი სტრუქტურების ხელმძღვანელებთან ერთად მივიდა და სტიქიის შედეგად დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგო. მათ გვირგვინითა და ყვავილებით შეამკეს მემორიალური დაფები. სოლგომანის მთის ჩამოშლას 23 ადამიანის, მათ შორის სამი ბავშვის სიცოცხლე ემსხვერპლა. დაღუპულთა პატივსაცემად, 2020 წელს, სტიქიის ადგილას მოეწყო სკვერი და განთავსდა მემორიალური დაფები.

თორნიკე რიჟვაძემ, ასევე, ყვავილებით შეამკო ვაშლოვანის ტრაგედიის შედეგად დაღუპულთა მემორიალი. სოფელ ვაშლოვანში ჩამოწოლილმა მეწყერმა 6 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

- ადამიანები სტიქიას შეეწირნენ, 3 ოჯახიდან ერთეულები გადარჩნენ. ნათესავებს, ახლობლებს არ ავიწყდებათ ის ტრაგედია. ჩვენი საზოგადოების ვალია, არ დავივიწყოთ ისინი, ვინც სტიქიამ იმსხვერპლა, - თქვა თორნიკე რიჟვაძემ.

მოსახლეობა ითხოვს, რეაგირება იქნება

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის პირველი მოადგილე ოთარ დიასამიძე, შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე დაბა შუახევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების-ჩანჩხალოს, სხეფის, დაბაძველის, ოქროპილაურის, ბესელაშვილების მოსახლეობის წარმომადგენლებს შეხვდნენ; ის პროგრამები და პრიორიტეტები გააცნეს, რომელიც წელს ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრსა და სოფლებში ხორციელდება. მათგან მნიშვნელოვანია გზებისა და სოფლების კეთილმოწყობა, კავიანის (ხიჭაურის) ციხიდან კლდისუბნამდე ტურისტული ბილიკის მოწყობა. ჩანჩხალოში 100 ათას ლარზე მეტია მობილიზებული ბაგა-ბაღის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოსაწყობად, სხეფი-თერნალის გზაზე დაიგება ასფალტის საფარი.

შეხვედრის მონაწილეებმა გია, ფრიდონ, ილია დავითაძეებმა, ჯემალ, ემზარ დიასამიძეებმა, ნოდარ, ჯუმბერ ზოიძეებმა დაბა შუახევის ცენტრის კეთილმოწყობის სამუშაოების გაგრძელება, სოფელ დაბაძველის სარწყავი არხის დაზიანებული და დამეწყრილი მონაკვეთების შეკეთება, ბესელაშვილებში გზის რეკონსტრუქცია, მიწის კერძო საკუთრებაში დაკანონების დაჩქარება, ოქროპილაურში მისასვლელ ხიდთან გზის გაფართოება ითხოვეს.

- საინტერესო და შინაარსიანი შეხვედრა გვქონდა, - გვითხრა ოთარ დიასამიძემ, - რიგი პრობლემა სამუშაო ვითარებაში გადაწყდა, გლობალურ საკითხებზე ქვეყნისა და რეგიონის ხელმძღვანელობასთან ერთად ვიმსჯელებთ და მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად მოვაგვარებთ.

სოფელ კვირიკეში ახალი საწარმო ამოქმედდა

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კვირიკეში სუნელ-სანელებლების გადამამუშავებელი ახალი საწარმო ამოქმედდა. თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი საწარმო შპს „ნთკ“ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრის“, „სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში შეიქმნა

საწარმოში ჯამურად, 89258 ლარამდე ინვესტიცია განხორციელდა, აქედან 55974 ლარი გრანტია, ხოლო 33284 ლარი - თანამონაწილეობა. საწარმოში თვეში 10 ტონა სანელებლებს გადაამუშავებენ. პროდუქციის რეალიზება მოხდება როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ასევე, გავა ექსპორტზე. საწარმოში 15 ადამიანია დასაქმებული.

აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი გიორგი სურმანიძე, მოადგილე მირიან ქათამაძესთან და აგროსერვისცენტრის დირექტორ გოჩა ბერიძესთან ერთად, საწარმოს ეწვია და ადგილზე გაეცნო სამუშაო პროცესს.

- „სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამის ამოცანა სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკური ზრდა, ეკონომიკურ საქმიანობაში ქალთა ჩართულობის გააქტიურება, ინოვაციური პროექტების ხელშეწყობაა, - განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრმა გიორგი სურმანიძემ.

ანკა ჩხიკვაძე

შემოქმედებითი კონკურსები, სხვა აქტივობები – შუახევში

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

შუახევის რესურსცენტრის ორგანიზებით და შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა შუახევის მუნიციპალიტეტის კერძო და საჯარო სკოლების მოსწავლეთა მეოთხე მუნიციპალური კონკურსის I და II ტური ინგლისურ ენასა და ლიტერატურაში, ოთხ ასაკობრივ კატეგორიაში.

პირველ ტურში, რომელიც ონლაინ ფორმატში გაიმართა, მონაწილეობდა 282 მოსწავლე, მათგან მეორე ტურში 40 საუკეთესო შედეგის მქონე გადავიდა.

მეორე ტური ხიჭაურის საჯარო სკოლაში ჩატარდა, გამარჯვებულები მონაწილეობას მიიღებენ კონკურსის მესამე, დასკვნით ტურში, სადაც საპრიზო ადგილების მფლობელები გამოვლინდებიან. გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით. რესურსცენტრის ორგანიზებით და შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსებით, სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტები განხორციელდება. ჩატარდება მეშვიდე საგნობრივი კონკურსები ისტორიაში, გეოგრაფიასა და სამოქალაქო განათლებაში; შეიქმნება მხატვრული ლიტერატურის და ინგლისური ენის მოყვარულთა პირველი მუნიციპალური კლუბები, რომლის მიზანი მოსწავლეებში წიგნიერების დონის ამაღლება, მხატვრული ლიტერატურით დაინტერესება, ლოგიკური აზროვნების, კრიტიკული ანალიზის, არგუმენტირებული მსჯელობის, ინგლისურ ენაზე საკომუნიკაციო უნარების განვითარებაა. მნიშვნელოვანია აგრეთვე შუახევის რესურსცენტრის, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფესიული კავშირის შუახევის რაიონული ორგანიზაციის და მუნიციპალიტეტის მერიის ერთობლივი პროექტები, რომელიც მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციის პროფესიულ განვითარებაზეა ორიენტირებული. ამ მიზნით ჩატარდება მასწავლებელთა მეოთხე და სკოლის ადმინისტრაციის პირველი მუნიციპალური კონფერენციები, მასწავლებლის დღისადმი მიძღვნილი კვირეული.

უკრაინა და მსოფლიო – გეოპოლიტიკა ანუ ბრძოლა გავლენების მოპოვებისთვის

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ახალი მსოფლიო წესრიგი დღეს ყველაზე აქტუალური ტერმინია, თითქმის ყველა ექსპერტი ხაზგასმით აცხადებს, რომ ამჟამად უკრაინაში იტესტება მსოფლიოს მდგრადობა, ვხედავთ იმასაც, რომ ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების პროცესი ძალიან დამძიმდა. საკითხი ასე დგას – როგორი იქნება ახალი მსოფლიო წესრიგი, ამას მეტწილად უკრაინა-რუსეთის ომი განსაზღვრავს.

მსოფლიო თვალს ადევნებს უკრაინაში მიმდინარე ომის ძირითადი მონაწილეების (აშშ-რუსეთის) ირიბ დაპირისპირებას. აშკარაა, რომ დასავლეთსა და რუსეთს შორის ცივი ომია, ეს ომი, სხვათა შორის, პუტინის გაპრეზიდენტებისთანავე დაიწყო. არადა, ცივი ომი პირობითი ტერმინია, იგი იდეოლოგიური დაპირისპირების საფარქვეშ შენიღბული ბრძოლა კი აღარ არის, არამედ, მსოფლიოში გავლენის მოპოვებისთვის. ამიტომ აშშ-ისა და რუსეთის ინტერესები მკვეთრად გადაიკვეთა. აშკარაა, რომ დღეს უკრაინაში გარკვეულწილად, წყდება მსოფლიოს მომავალი. ცხადია, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ვინ გაიმარჯვებს ამ დაპირისპირებაში, რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად გადაწყდება ევროპის და მით უმეტეს პოსტსაბჭოთა ქვეყნების ბედი. როგორც ჩანს, რუსეთისთვის უკრაინა კარგი საშუალებაა იმ გავლენების დასაბრუნებლად, რაც საბჭოთა კავშირის დროს ჰქონდა, ამ უკანასკნელის დაშლის შემდეგ რუსეთი ხომ იგნორირებული და გადასროლილი აღმოჩნდა განვითარებადი ქვეყნების სიაში, რომელთაც საერთაშორისო პოლიტიკაში არაფერი ესაქმება, არავინ აპირებდა მის გლობალურ პოლიტიკაში დაბრუნებას, ტიკური კურსი, თუმცა უმთავრესია დემოგრაფიული პრობლემის მოგვარება... ეს მიზანი ნამდვილად სატანისტურია თავისი არსით: მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ტერიტორიულად ყველაზე დიდი სახელმწიფოა, მოსკოვი ამ ტერიტორიაზე სრულ კონტროლს ვერ ახორციელებს, მისი მოსახლეობა ამისთვის საკმარისი არ არის, მაგალითად, ურალი, ციმბირი, პრაქტიკულად, დაუსახლებელია, იქ ახლა ჩინელების დასახლების ბუმია. ამ რეგიონში, დაახლოებით, როგორც ამბობენ, 20 მილიონი ჩინელი ცხოვრობს. მოსკოვმა ეს პრობლემა რომ მოაგვაროს და დემოგრაფიული პრობლემა სათავისოდ გადაჭიმმართულებით დახმარებაზე, ეს რომ არა, უკრაინას გაუძნელდებოდა მტრის მოგერიება. არანაკლებ მნიშვნელოვანია დასავლური სპეცსამსახურების დახმარება უკრაინისადმი. მათ ზედმიწევნით კარგად იციან რუსეთის ჯარის განლაგების კოორდინატები. ეს მნიშვნელოვანი კომპონენტია ომის პროცესში. სხვათა შორის, თითქმის ყველა დასავლელი ანალიტიკოსი აცხადებს, რომ რუსეთი უკრაინაში სტრატეგიულად დამარცხდა, ანუ მოსკოვმა ვერც კიევი, ოდესა, ხარკოვი აიღო, ვერც რეჟიმი შეცვალა და ვერც ქვეყნის დენაციფიკაცია მოახდინა, გარკვეული წარმატებები აქვს აღმოსავლეთ უკრაინაში.

> ***„რეგიონში, დაახლოებით როგორც ამბობენ, 20 მილიონი ჩინელი ცხოვრებს. მოსკოვმა ეს პრობლემა რომ მოაგვაროს და დემოგრაფიული პრობლემა სათავისოდ გადაჭრას, საჭიროა შორეულ აღმოსავლეთში სლავური მოსახლეობის დასახლება. რუსი ერი არ აქტიურობს ამ მხრივ. კრემლმა ნაცად ხერხს მიმართა, ძალით ასახლებს მოსახლეობას იქ. არის უტყუარი ცნობები, რომ დაახლოებით, სამასი ათასი უკრაინელი გადაასახლა შორეულ აღმოსავლეთში.***

მაგრამ პუტინმა სხვა რეალობის წინაშე დააყენა მსოფლიო... ყველა აღიარებს, რომ თუნდაც აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის ოკუპაცია, ასევე ყირიმის ანექსია ამ სურვილის, ანუ ნატოს გაფართოების შედეგია, ამის გამო რუსეთი არ მოერიდა არც საქართველოს, არც უკრაინის წინააღმდეგ ომის დაწყებას.

როგორც ცნობილია, რუსეთს სტალინის დროიდან დაწყებული ყოველთვის სურდა მსოფლიო არენაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა და თავისი გავლენის გაძლიერება, აქედან გამომდინარე რუსეთის გაღიზიანება გამოიწვია სწორედ მისი ინტერესების არგაზიარებამ, ანუ ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მანამდე იღებდნენ რუსეთის გარეშე, ამიტომაც დღეს დაუნდობელი ბრძოლა მიმდინარეობს ევრაზიის კონტინენტზე ახალი გეოპოლიტიკური გავლენების ჩამოსაყალიბებლად, ეს ეხება უკრაინას, საქართველოს და მოლდოვას, რომლებიც ცდილობენ ტრანსატლანტიკურ ალიანსში გაერთიანებას და ამით რუსეთის მრავალსაუკუნოვანი გავლენის სფეროდან გამოსვლას, რასაც რუსეთის მხრიდან სერიოზული წინააღმდეგობა ხვდება, კრემლი საბჭოთა კავშირის დროინდელი გავლენის სფეროების დაკანონებას ითხოვდა, ამიტომ ქმედითი ნაბიჯები გადადგა. თავდაპირველად საქართველოს მიმართ განახორციელა აგრესია, რაზეც დასავლეთმა არასათანადო რეაგირება მოახდინა, ამას მოჰყვა ყირიმის ანექსია, შემდეგ სირიის ომში ჩართვა, ევროპულ და ამერიკულ არჩევნებში ფარული მონაწილეობა და მასზე ზეგავლენა. ცალკე თემაა კრემლისეული პროპაგანდა, თუმცა ბოლოდროინდელმა მოვლენებმა (ღია აგრესია უკრაინის მიმართ) დასავლეთი შეძრა. მთელი მსოფლიო მოითხოვს რუსეთისგან ომის შეწყვეტას, მაგრამ ჯერჯერობით კრემლი უკან დახევას არ აპირებს. ამ მიმართებით ისმის კითხვა – მოსალოდნელია თუ არა ზესახელმწიფოების (აშშ-რუსეთი) მხრიდან მესამე მსოფლიო ომი?

უდავოა, რომ რუსეთ-უკრაინის ომით კრემლი მსოფლიო არენაზე თავს იმკვიდრებს, როგორც ანგარიშგასაწევი ძალა – ის ეუბნება მსოფლიოს – მომელაპარაკეთ, ანგარიში გაუწიეთ ჩემს ძალას, რადგან, რასაც მოვისურვებ, იმას მივაღწევ, არ მაღელვებს, რა მსხვერპლი მოჰყვება ამას.

ექსპერტები აცხადებენ, რომ რუსეთის აგრესია უკრაინის მიმართ რამდენიმე მიზანს ისახავს, კერძოდ, შეაჩეროს უკრაინის ევროატლანტიკურ ინტეგრაციის პროცესი, ეს ეხება ნატოს, ევროკავშირს, ასევე, ეს ეხება ეკონომიკურ ინტეგრაციას, ეს ეხება ევროკავშირის ასოცირებულ ქვეყნებს, ეს ეხება ევროკავშირის ინსტიტუციებს, ეს ეხება ევროკავშირის ინსტიტუციებს, ეს ეხება ევროკავშირის ინსტიტუცი

ბათუმის თითქმის ყველა სასაფლაოზე ადგილები ამოწურულია

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ორი წელიწადია, რაც მსოფლიო პანდემიის გამო, აღდგომის ბრწყინვალე შვიდეულის დროს ქართველები ვერ გადიან სასაფლაოებზე. როგორც იქნა, მიილია პანდემია და შესუსტდა მის წინააღმდეგ შემოღებული მკაცრი შეზღუდვები, ამიტომ ახლა განსაკუთრებული მზადებაა სააღდგომოდ, ყველა ცდილობს, საკუთარ მიცვალებულებს მიაგოს მისაგებელი

რა მდგომარეობაა ბათუმის სასაფლაოებზე, რა პრობლემები და გეგმები აქვთ, ამაზე გვესაუბრება ა(ა)იპ „ბათუმის სასაფლაოების“ დირექტორი ***ჯუმბერ კოგალაძე,*** *რომლის მუშაობითაც კმაყოფილი არიან ჭირისუფლები, აღნიშნავენ, რომ ამ ბოლოს ბევრი რამ გაკეთდა და მნიშვნელოვნად მოწესრიგდა ფერიის სასაფლაო.*

- ჯერ კიდევ შარშან, სააღდგომოდ, დაცვას აძლიერებდით ურჩი ჭირისუფლების შესაკავებლად, წელს კი, ალბათ, დიდი მზადება გაქვთ, რადგან დარწმუნებული ვარ, ლამის მთელი ქალაქი დაიძვრება სასაფლაოებისკენ.

- დიახ, ასე იყო, მაგრამ ძალიან კარგია, რომ ვირუსი ნაკლებად საშიში გახდა და უკვე ტრადიციულად მივლენ მოქალაქეები საფლავებზე. ყველაფერ ამას უდიდესი დატვირთვა აქვს, უპირველესად, ცოცხლებისთვის, რადგან აქ მოსვლით, საფლავებზე წითელი კვერცხების გადაგორებით, ჭიქა ღვინის წაქცევით თუ პასკის მოტანით ვალმოხდილი ბრუნდებიან სახლში. სასაფლაო წმინდა ადგილია. მიუხედავად იმისა, რომ სიკვდილი ყველა ადამიანის სიცოცხლის ბუნებრივი შედეგია და სასაფლაოები ამ ბუნებრივ მოვლენებთან ერთად იზრდება და ფართოვდება, ვერ ხერხდება რიგი საკითხების მოგვარება სხვადასხვა მიზეზის გამო. პრაქტიკულად, დასამარხი ადგილების გარეშე დარჩენილი ბათუმი ამ მხრივ გაურკვეველ ვითარებაში იმყოფება. ისიცაა, რომ ბევრს უჭირს აქ მოსვლა და საფლავების მოწესრიგება, რაც საკმაოდ დიდი სირთულეების წინაშე აყენებს დირექციას.

- ამ ეტაპზე რა კეთდება ბათუმის სასაფლაოებზე?

- მე მხოლოდ ერთი წელია, რაც ამ პოსტზე ვარ და მართლაც უზარმაზარი სამუშაოები დამხვდა შესასრულებელი. ძალიან ბევრი რამ არის მოსაგვარებელი. პანდემიისას საფლავებზე ნაკლებად მოდიოდნენ, პრაქტიკულად, ხალხს არ ეცალა და ძალიან მოუვლელი დარჩა საფლავებიც და მიმდებარე პერიმეტრიც - ჭიშკრები ჩამოვარდნილი იყო, ღობეები - გაფუჭებული. კომპანია, რომელმაც ეს მანამდე გააკეთა, დავავალდებულე მისი აღდგენა, მაგრამ უხარისხოდ იმუშავეს და ისევ ჩამოვარდა. ქალაქის მერის უშუალო დახმარებით, შევეკმენი მცელავების და სხვა სამუშაოების მწარმოებელი, საფლავების მოვლა-პატრონობის ბრიგადები, რომლებიც ყოველდღიურად გადიან პერიმეტრზე და მთელი დატვირთვით მუშაობენ. მოსახლეობისგანაც მადლობებს ვღებულობთ, ზოგან ისეა ყველაფერი ჩახერგილი, სპეციალური იარაღების და სპეცმუშების გარეშე ჭირისუფალი ვერაფერს გახდება. მალე დავასრულებთ ღობეების დარჩენილი მცირე მონაკვეთის აღდგენას. რაც შეეხება ჭიშკრებს, სააღდგომოდ ყველა განახლდება.

- აღდგომის დღესასწაული უკვე აღნიშნეს სომხებმა...

- დიახ, მოგვმართა სომხურმა დიასპორამ და სამი დღით ადრე ყველა ბრიგადა გადავიყვანეთ სომხურ სასაფლაოებზე. რამდენიმე მანქანა ნაგავი და ეკალ-ბარდი გავიტანეთ და საფლავები გავწმინდეთ. აქაც კმაყოფილი დაგვრჩა ხალხი.

- მართლმადიდებელთა აღდგომისთვის კიდევ რა სამზადისი გაქვთ?

- კვირამდე უნდა დავასრულოთ მოცელვის და გაწმენდის სამუშაოები, შემდეგ კი ებრაელთა საფლავებს უნდა მივხედოთ. მისი დიდი ნაწილი უპატრონოდ არის დარჩენილი, რადგან მათი შთამომავლების უმეტესობა ისრაელში გადავიდა. ეს საფლავები განლაგებულია პანთეონს ზევით, სათნოების სახლთან მიმავალი გზის გადასახვევში. იქ უზარმაზარი ხეებია, ჩახერგილია ყველაფერი. ლაშა კომახიძის მერობის დროს გაიწმინდა ძირითადად ეს ადგილი, მას შემდეგ ვეღარავინ მოიცალა. მე დავუკავშირდი ებრაელთა დიასპორას თბილისში და ვუთხარი, რომ მათი წარმომადგენელი თუ ჩამოვა და გააკონტროლებს ჩასატარებელ სამუშაოებს, ძალიან კარგი იქნება, მერე რომ არ ჰქონდეთ პრეტენზია. ამ დღეებში მაქსიმალური დატვირთვით ვმუშაობთ, 30-ზე მეტი სატვირთო მანქანა ნაგავი გავიტანეთ ფერიის სასაფლაოდან. ყველაფერს გავწმენდთ, გავკაფავთ, მოვცელავთ. გვაქვს შეძენილი ბალახის გასახმობი ქიმიური ნივთიერებები და როგორც კი მოძლიერდება ბალახი, შევწამლავთ, რათა არ დავუშვათ მისი გამრავლება და სუფთად შევინარჩუნოთ სასაფლაო.

- აქ ფერიის შესახებ ისაუბრეთ. სხვა სასაფლაოებზე რა სამუშაოებს გეგმავთ?

- სხვა სასაფლაოებზე გაცილებით იოლია სამუშაოების ჩატარება, რადგან არც ამხელა ფართობისაა და არც ასე გორაკიანი და უსიგრძეგანო, როგორიც ფერიის, სადაც შეიძლება, კაცი დაიბნეს. აღდგომის დღეებისთვის აბსოლუტურად მოწესრიგებული იქნება ბათუმში არსებული ყველა სასაფლაო. ვიმედოვნებთ, კმაყოფილნი დარჩებიან ჭირისუფლებიცა და მოქალაქეებიც.

- სულ რამდენი სასაფლაო ფუნქციონირებს ბათუმში?

- 13 სასაფლაო, ფერიისაა მეცამეტე. ჩაქვის სასაფლაოსაც ჭყავს დაცვა, დროგამოშვებით ვაგზავნით ბრიგადებს მის მოსაწესრიგებლად, რათა არ მომძლავრდეს ეკალ-ბარდი და არ ჩაიხერგოს ბილიკები. ახლა ველოდებით საკრებულოს სხდომაზე საკითხის გატანას სამხარაულის ექსპერტიზის გადახედვის თაობაზე.

- თუ შეიძლება, დაგვიკონკრეტეთ.

- ბათუმში არსებულ თითქმის ყველა სასაფლაოზე ამოწურულია ადგილები. ხელვაჩაურის სასაფლაოების გაერთიანება რომ არ გვეხმარებოდეს, არ ვიცი, რა გზას დავადგებოდით. იანვრიდან ხელვაჩაურის სასაფლაოს დირექტორი ირაკლი კარანაძე გახდა. ძალიან კარგი, საქმიანი პიროვნებაა, წინამორბედივით ყოველმხრივ გვიწყობს ხელს. ახლა მას ვთხოვთ თამარის დასახლება-ბარცხანისა და ხელვაჩაურის ყოფილ, ახლა ბათუმს შემოერთებულ ტერიტორიებზე გარდაცვლილთათვის ადგილის პოვნას. ძალიან ცუდ დღეში ვართ ჩვენცა და ჭირისუფლებიც, რომლებიც საფლავის გამოყოფას გვთხოვენ. ირაკლი კარანაძეც გვეხმარება და პოულობს ადგილებს - ზოგჯერ სოფელ განთიადში, სალიბაურში, ორთაბათუმის გზაზე, წინსვლის შესახვევში და სხვა. ეს სოფლები ახლოსაა ბათუმის საზღვრებთან და იქაური მოსახლეობა გვიწყობს ხელს ჩვენი თანაქალაქელების დაკრძალვაში. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ამ ადამიანებს, თორემ ვერაფერს გავაწყობდით სხვა შემთხვევაში.

- ჩაქვის სასაფლაოს დავუბრუნდეთ. მახსოვს, საკმაოდ ამბიციური პროექტი ჰქონდა ამ ადგილთან დაკავშირებით მერიას.

- ჰქონდა და აქვს კიდეც. 200 ათასი მოქალაქეა უკვე ბათუმში. ამ რაოდენობიდან გამომდინარე, დღეში 10-15 მიცვალებული გვყავს, აქედან სამ-ოთხს საკუთარი საფლავი არ აქვს, ასე რომ, ყოველდღიურ რეჟიმში აქტიურად ვეძებთ საფლავებს. უკვე მართლა გაუსაძლისი მდგომარეობა გვაქვს. სადმე თუ გამოიძებნა დასამარხი ადგილი, ვცდილობთ, ჩავაყენოთ მწყობრში, მოვაწესრიგოთ და ჭირისუფალს დავეხმაროთ, ერთადგილიანი საფლავი მაინც რომ მოიხერხოს.

- რატომ დაიწუნა სამხარაულის ექსპერტიზამ ჩაქვის სასაფლაო?

- მისი დასკვნით, იქ შესაძლებელია მეწყრული პროცესების განვითარება, მაგრამ უკვე 7 წელი გავიდა და არავითარი მეწყერსაშიში მდგომარეობა არ შეინიშნება. მიგვაჩნია, რომ იქ არის ადგილი, სადაც თავისუფლად შეიძლება საფლავების გათხრა. 18 ჰექტრამდე ფართობი კაპიტალურადაა გაკეთებული, მთლიანად შემოღობილია. შიდა პერიმეტრზე გადის მოასფალტებული ქუჩები, ტროტუარები, გაყვანილია სანიაღვრე არხები, ბორდიურებით და ჯაჭვებითაა შემოღობილი სამარხები. პანთეონის ადგილიც ცალკეა გამოყოფილი და ისიც მოწყობილია ყველა აუცილებელი ინფრასტრუქტურით, მათ შორისაა ადმინისტრაციის ორსართულიანი შენობა, გამოყოფილია საწყობები სამუშაო იარაღებისთვის. მოკლედ, მართლაც ევროპულ დონეზეა ყველაფერი გაკეთებული. ფაქტობრივად, არ არსებობს ქალაქთან ახლოს სხვა ამხელა ტერიტორია, სადაც შევძლებთ ახალი სასაფლაოს მოწყობას. აქედან გამომდინარე, ვეცდებით, საკრებულოს სხდომაზე (თუკი გვეღირსა მისი ჩატარება) გავიტანოთ ჩაქვის სასაფლაოს საკითხი და იმედი მაქვს, რომ გაგებით მოგვეკიდებიან და გამონახავენ გზას, რათა ამ ადგილას დავიწყოთ დაკრძალვები. ასე თუ არ მოხდა, არ ვიცი, რას ვიზამთ, სანამ გავძლებთ სხვა სასაფლაოების იმედად.

- ყველაფერი გაძვირდა, ბატონო ჯუმბერ, და საფლავის ფასმა არ მოიმატა?

- არა, ჯერ კიდევ ძველი ტარიფებით ვმუშაობთ - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის სხდომაზე დამტკიცებული ფასებია ისევ. არსებულ საფლავში დასაკრძალად საჭიროა ასი ლარის ბანკში სპეცანგარიშზე გადახდა, ხოლო თუკი არ აქვს დასაკრძალი ადგილი, მაშინ მოქალაქე 150 ლარს საფლავში იხდის, ხოლო დაკრძალვაში - 100 ლარს.

- ყველა საფლავს აქვს მინიჭებული ნომერი?

- არ აქვს ყველას მინიჭებული და თქვენი ნებართვით, აქვე დავამატებ მიმართვას ბათუმელებისადმი: ყველას, ვისაც აქვს აღურიცხავი საფლავი, მოვიდეს, დაარეგისტრიროს, მივანიჭებთ ნომერს და მასაც და ჩვენც გვეცოდინება, ვინ არის პატრონი და ვის მივმართოთ აუცილებლობის შემთხვევაში. ბევრმა არც იცის, სად აქვს საფლავი, ვერ აგნებს, უხერხულობაში ვარდება თავადაც და ჩვენც ზედმეტი წვალება გვიწევს. ზოგი მხოლოდ მაშინ მოდის, როდესაც სჭირდება ნოტარიუსი, არქივი და ერთ დღეში უწევს ყველაფრის გაკეთება. ქართველებს წესად გვაქვს - ბოლო მომენტამდე გადავდოთ დოკუმენტების მოწესრიგება, მაგრამ ძალიან ვთხოვ ყველას, დროულად მოვიდნენ, დააფიქსირონ, სად ჰყავთ დასაფლავებული წინაპარი, გადავარეგისტრირებთ, ახალ ნომერს მივანიჭებთ და გვეცოდინება, რომ საფლავს ჰყავს პატრონი, რომელიც მოუვლის მის ტერიტორიას. თანაც რეგისტრირებული საფლავის მიმართ ვერავის გაუჩნდება რაიმე პრეტენზია.

- ხალხი ამბობს, რომ ცენტრალური სასაფლაოზე ძალიან მაღალ ფასად შესაძლებელია საფლავის ყიდვა.

- მეც გამიგონია ამის შესახებ და გეტყვით, რომ მართლაც შესაძლებელია ყიდვა და საკმაოდ ძვირადაც, მაგრამ ამ ფართს ჰყიდიან მიმდებარე მოსახლეები მესხის ქუჩიდან, რომლებსაც სასაფლაოს გვერდით აქვთ ბოსტნები და სამ-ოთხ კვადრატ მიწას 2-3 ათას აშშ დოლარად აფასებენ. ვისაც აქვს საშუალება, ალბათ, უღირს და ყიდულობს, მაგრამ მინდა იცოდეთ, რომ მსგავსი არაფერი ხდება ჩვენი ჩარევით. ეს პირადი გარიგებებია კერძო პირებთან, რომელსაც ვერავინ გააკონტროლებს და ვერც დაუშლის.

- არ ყოფილა საუბარი, რომ სახელმწიფომ შეისყიდოს ეს ტერიტორიები და გაზარდოს სასაფლაო?

- რაც მე ვარ დირექტორი, ამაზე საუბარი არ ყოფილა, მაგრამ ჩემი გადასახედიდან, ჯერ ერთი, ვერც ეს ტერიტორიები უშველის ამხელა ქალაქს, მეორეც - იმდენად ძვირია აქ ყოველი კვადრატული მეტრი, რომ სახელმწიფოს არანაირად არ აძლევს ხელს მისი შეძენა. საცხოვრებლის საბაზრო ღირებულებით, 1 კვმ მიწის ფართობს ბათუმის ამ ტერიტორიაზე 100 აშშ დოლარზე მეტად ვერ შეაფასებ, მაგრამ აქაურები საფლავისთვის ერთ კვადრატს ყიდიან თითქმის ათას დოლარად.

- საფლავების გაციფრულება თუ დასრულდა?

- პროგრამა შექმნილია და მისი 95% მუშაობს, უკვე ამით ვხელმძღვანელობთ - რუკის ნახვა, კოდირება, დასტიკერება - ყველაფერს მოიცავს, მაგრამ პანდემიის გამო შეფერხდა მუშაობა. დასასრულებელია ახალი საფლავების დასურათება და პროგრამაში შეყვანა. როდესაც პროცესი სრულად შედგება, ყოველ დაკრძალვას და საფლავის რეგისტრაციის ნომერს უკვე ავტომატურად შევიყვანთ პროგრამაში, რაც გააიოლებს და გაათანამედროვებს ჩვენს მუშაობას.

- ვანდალიზმის შემთხვევები იყო ადრე...

- ადრე - კი, ახლა დაცვაც გავაძლიერეთ და პატრულთან ერთად კონტროლდება ტერიტორიები. თამარის დასახლების პოლიცია მუდმივ კავშირშია ჩვენთან, ძალიან გვეხმარება.

- გარე განათება თუა ყველგან დამონტაჟებული?

- ის ჩემს ამ პოსტზე დანიშვნამდეც იყო დამონტაჟებული, ცენტრალური შემოსასვლელები განათებულია. რამდენიმე თვის წინ ქარიშხალმა დაგვიზიანა სანათურები, მაგრამ უკვე აღვადგინეთ, ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაც განათებულია. გეგმაში გვაქვს სანათების დამატება და ვიდეოკამერების დაყენება, რაც ძალიან ბევრ სირთულეს მოგვიხსნის. დღეს ისეთი დროა, რომ ასეთი ტექნიკა ყველა ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს დამონტაჟებული, განსაკუთრებით კი სასაფლაოს, სადაც ყველაზე მეტად არის მოსალოდნელი კრიმინალური შემთხვევები. იმედი გვაქვს, მალე შეიკრიბება ბათუმის საკრებულო და შევძლებთ ამ საკითხის გატანას. თუკი გამოიძებნება სახსრები, ძალიან კარგი იქნება.

> ***„იანვრიდან ხელვაჩაურის სასაფლაოს დირექტორი ირაკლი კარანაძე გახდა. ძალიან კარგი, საქმიანი პიროვნებაა, წინამორბედივით ყოველმხრივ გვიწყობს ხელს. ახლა ირაკლის ვთხოვთ თამარის დასახლება-ბარცხანისა და ხელვაჩაურის ყოფილ, ახლა ბათუმს შემოერთებულ ტერიტორიებზე გარდაცვლილთათვის ადგილის პოვნას. ძალიან ცუდ დღეში ვართ ჩვენცა და ჭირისუფლებიც, რომლებიც საფლავის გამოყოფას გვთხოვენ***

რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მიერ ბირთვული იარაღის გამოყენების შანსები უკიდურესად დაბალია და ეს 1%-ს შეადგენს

ამის შესახებ ინფორმაციას CNN-ი ამერიკელ ოფიციალურ პირზე დაყრდნობით ავრცელებს, რომლის ვინაობასაც არ ასაჯაროებს.

ტელეარხი იუწყება, რომ პენტაგონი მუდმივად თვალყურს ადევნებს რუსეთის ბირთვულ არსენალს და კვირაში ორ-სამჯერ აშშ-ის მთავარი გენერალი, რომელიც ქვეყნის ბირთვულ იარაღს მეთვალყურეობს, თავდაცვის მდივან ლოიდ ოსტინს რუსეთის ნებისმიერ პოტენციურ ბირთვულ ნაბიჯზე ინფორმაციას აწვდის.

მედიის ცნობით, შეერთებულ შტატებს არ უნახავს რაიმე მინიშნება, რომ რუსეთმა ბირთვული იარაღის გამოყენების მოსამზადებლად ნაბიჯები გადადგა, თუმცა ოფიციალური პირები, ცივი ომის შემდეგ, უფრო მეტად არიან შეშფოთებულნი რუსეთის მიერ მათი გამოყენების საფრთხის გამო.

ამირან გურიელიძე

ვნების კვირა და... აღდგომის ბრწყინვალე შვიდეული

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ქრისტიანული ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად აღდგომა ითვლება, აღდგომა იმ დაცემული კაცობრიობისა, რომლისთვისაც უფალმა მოავლინა განკაცებული მხსნელი - იესო ქრისტე. აღდგომა, როგორც დღესასწაული, მოძრავია, ვნების კვირა ბზობის შემდეგ იწყება

მართლმადიდებელ ქრისტიანთათვის აღდგომის დღესასწაული ყველაზე საყვარელი ზეიმია, რომლისთვისაც გულმოდგინედ ემზადებიან როგორც მორწმუნენი, ისე ნაკლებად რელიგიური ხალხი. ბავშვობიდან გვახარებს შეღებილი კვერცხები, ნაირ-ნაირი ტკბილი პასკები, დახუნძლული სუფრა და მხიარული თანამეინახეები. აღდგომის დღეს და ბრწყინვალე შვიდეულის დროს, ყველას სულ სხვა განწყობა, ღიმილიანი სახე და კეთილი მზერა აქვს, ყველაზე მეტად კი მისალმება სიამოვნებს სმენას: „ქრისტე აღდგა!“ - „ჭეშმარიტად აღდგა!“...

რას გულისხმობს ვნების კვირა, რაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება და რა გავითვალისწინოთ, ამაზე საუბრობს წმინდა გაბრიელ აღმსარებლისა და სალოსის ტაძრის წინამძღვარი, წმინდა ტბელ აბუსერისძის ტაძრის მღვდელთმსახური მღვდელი ***ილია ხიკიკაძე.***

- სანამ აღდგომის დღესასწაულზე ვისაუბრებთ, თუ შეიძლება შევეხოთ მარხვას. რატომ არის ეს პროცესი ასე აუცილებელი?

- მორწმუნე მრევლი 40 დღის განმავლობაში მარხულობს და ემზადება ამ უდიდესი დღესასწაულისთვის. მოგეხსენებათ, მარხვა ნიშნავს ცოდვებისგან თავშეკავებას და აქედან გამომდინარე, შინაგანი სამყაროს განწმენდის შემდეგ, ადამიანი უფრო მძაფრად აღიქვამს ამ განსაკუთრებული ზეიმის ძირეულ არსს.

- რაც შეეხება ვნების კვირას...

- ეს კიდევ უფრო საინტერესო მოვლენაა, ამ პროცესში ასახულია ქრისტეს ვნებები. ყოველ დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ქრისტიანი ცდილობს ყოველდღიურად იყოს ღვთისმსახურებაში და განსაკუთრებულად შეიცნოს ქრისტეს სიდიადე. კერძოდ, დიდი ორშაბათი, დიდი სამშაბათი და დიდი ოთხშაბათი გამორჩეული იმითაცაა, რომ სრულად იკითხება მათეს, მარკოზის, ლუკას სახარებები და იოანე ღვთისმეტყველის რამდენიმე თავი. ანუ ადამიანს ეძლევა საშუალება სრულად მოისმინოს ღვთიური სიტყვა.

- დიდი ხუთშაბათი?

- ის განსაკუთრებულია იმით, რომ ამ დღეს დაწესდა ზიარება. როდესაც ქრისტემ მოიწვია მოციქულები საიდუმლო სერობაზე, ისინი აზიარა, ამბობენ, იუდაც კი. მაგრამ აქ ერთი საინტერესო მომენტია, როდესაც იუდა გავიდა, მადლობაც არ გადაუხადა იესოს. ამ შემთხვევაზე იოანე ოქროპირი აღნიშნავს - იუდას რომ მადლობა ეთქვა იმ უდიდესი წყალობისთვის, რასაც ზიარება ჰქვია, ამ საშინელ ცოდვას არ ჩაიდენდაო.

- წითელ პარასკევს არ შეიძლება დალევა...

- არა მხოლოდ დალევა, ჭამაც შეზღუდულია, ოღონდ, მოძღვრის ნებართვით. წითელი პარასკევი ყველაზე მძიმე დღეა არა მხოლოდ ვნების კვირაში, არამედ წლის განმავლობაშიც. ამ დროს არ აღესრულება ჩვეული ღვთისმსახურება, რადგან ცოდვებისაგან ჩვენს გამოსახსნელად უფალმა საკუთარი თავი შესწირა მსხვერპლად. წითელ პარასკევს განსაკუთრებული, მხოლოდ ამ დღისთვის განკუთვნილი მსახურება სრულდება - დილით სამეუფეო ჟამნი, სადაც იკითხება სახარებები ქრისტეს ვნების შესახებ. ასევე, ორ საათზე (რომელიც მისადაგებულია ქრისტეს ჯვარცმის და მისი სულის განტევების დროსთან) იწყება სერობის მსახურება, კერძოდ, სასულიერო პირები საკურთხევლიდან გამოასვენებენ გარდამოხსნას.

- იქნებ გარდამოხსნის მნიშვნელობაც აგვიხსნათ?

- გარდამოხსნას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი მარხვის განმავლობაში. პარასკევ დღემდე გარდამოხსნა ტრაპეზზე არის დაბრძანებული. მართლმადიდებლურ ეკლესიაში ტრაპეზზე მსხვერპლშეწირვა ხდება, პურითა და ღვინით მომზადებული ნივთიერებების ქრისტეს სისხლად და ხორცად გარდაქმნა. ეს არის მთელი ლიტურგიის დანიშნულება და პროცედურა. სწორედ ეს განასახიერებს უფლის განვლილ პერიოდს. ამას წირვის დროს დიდი გამოსვლაც განასახიერებს, როდესაც მოაბრძანებენ ფეშხუმს ხორცით და შემდეგ ბარძიმს იესო ქრისტეს მომავალი სისხლისა და ხორცის შესაქმნელად. ტრაპეზს საკურთხეველში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ის არის სიმბოლო იმ აკლდამისა, სადაც უფალი იყო დასვენებული, ასევე - იესო ქრისტეს აღდგომისა და მისი ხორცშესხმისა. ტრაპეზზე დაბრძანებულია გარდამოხსნის ცერემონიალი, რაც შექმნილია შესანიშნავ ხელოვანთა მიერ შთაგონებით. ყველა მართლმადიდებელ ეკლესიაში გარდამოხსნა ძვირფას ტილოზეა შესრულებული. ჩვენ გვაქვს ქართულ სტილში შექმნილი გარდამოხსნები. გარდამოხსნის ცერემონია ყოველთვის აღდგომის წინა პარასკევს აღესრულება. ტაძარში შემოატარებენ გარდამოხსნას, შემდეგ მას დაასვენებენ ცენტრში. აქ პირველად თავს იჩენს წითელი პარასკევის კიდევ ერთი ფენომენი, როდესაც კვერცხი წითლად იღებება. კვერცხი სამყაროსა და მარადიულობის სიმბოლოა. მწვანე ჭეჭილში ჩნდება წამების ფრაგმენტები. მთელი სამყარო იღებება ქრისტეს სისხლითა და ხორცით. გარდამოხსნას ეს რიტუალი ყოველთვის მოსდევს. შემდეგ უფლის გლოვა იწყება, როგორც მენელსაცხებლე დედებმა და ღვთისმშობელმა დაიტირეს. გარდამოხსნა ტაძრის ცენტრში, შაბათ ღამის 11 საათამდე არის დაბრძანებული. შემდგომ, სააღდგომო ლიტურგიის დაწყებამდე, შუაღამის ჟამნობაზე, საკურთხეველში შეაბრძანებენ. იმავე საღამოს ტარდება საზეიმო ლიტურგია და იწყება აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული. გარდამოხსნის მსახურებას ჩვენ ძალიან დიდ ყურადღებას ვაქცევთ, რადგან ეს არის ვნების შვიდეულის უმძიმესი დღის დასასრული, რასაც ჯვარცმა ჰქვია და იმ ბედნიერების წინაპირობა, რასაც დიდი აღდგომა ჰქვია.

- ჯვარცმასთან დაკავშირებით რას გვეტყვით?

- ჯვარცმა იყო ადამიანის ცოდვის ტყვეობისგან გამოხსნის საშუალება. აქვე იმასაც ვიტყვი, რომ კაცობრიობა უფლის განკაცებას ელოდა ადამის და ევას სამოთხიდან გამოდევნის შემდგომ. დიდი შაბათის ღვთისმსახურება - იესო ქრისტეს ხორცით საფლავში, სულით კი ჯოჯოხეთში ჩასვლას და ბოლოს, მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომას ეხება. ვინც მას დაესწრება, გარკვეულწილად იგრძნობს, აღდგომის შემობრძანებას და სიხარულს. ცისკარზე მღვდელმსახურები „წმინდაო ღმერთოს“ გალობით, გარდამოხსნას ტაძრიდან გამოაბრძანებენ და ნიშნად იესოს ჯოჯოხეთში ჩასვლისა და სიკვდილზე გამარჯვებისა, ხალხის თანხლებით ტაძრის ირგვლივ შემოატარებენ. შემდეგ ისევ ტაძარში შეაბრძანებენ და ღია აღსავლის კართან მიიტანენ. ეს აქტი უკვე დოგმატური ხასიათის არის, აღსავლის კართან მიტანა ნიშანია მაცხოვრის განუყოფლად ყოფნობა მამა ღმერთთან, რომ თავისი ვნებითა და სიკვდილით კვლავ გაგვიღო სამოთხის კარი, ამ დროს იგალობება შესაბამისი საგალობლები. ასევე, დიდი შაბათი ჩვენთვის ყველასთვის დიდი სიხარულის მომნიჭებელია. ეს არის მაცხოვრის საფლავზე ღვთაებრივი ცეცხლის გარდამოსვლა, რაც სრულდება იერუსალიმის მართლმადიდებელი პატრიარქის მეშვეობით. ჯერ კიდევ ფსალმუნმთქმელი დავითი საუკუნეებით ადრე, ამ დღეს შესაბამისად აფასებს. „ესე არს დღე, რომელი ქმნა უფალმან, ვიხარებდეთ და ვიშვებდეთ ამას შინა“. ცნობილია წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვებიც: „დღეს გამოიხსნება სამყარო, ხილული და უხილავი ქვეყანა. ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, აღსდექით მასთან ერთად. ქრისტე ამაღლდა თავისი დიდებით - ამაღლდით თქვენც, ქრისტე აღსდგა საფლავიდან - თქვენ კი ცოდვათაგან იხსენით თავი. განიხვნება კარნი ჯოჯოხეთისანი, შეიმუსრება სიკვდილი, განდგება ძველი ადამი, იშვება ახალი. აღდგომა, აღდგომა უფლისა და კიდევ გეტყვით სამების თაყვანისაცემად - აღდგომა! დღესასწაული დღესასწაულთა და ზეიმთა ზეიმი. იგი იმდენად აღმატებულია სხვა დღესასწაულზე, რამდენადაც მზე აღემატება ვარსკვლავებს.“

- იქნებ კიდევ ერთხელ განვსაზღვროთ აღდგომის ძირითადი არსი?

- აღდგომა არის ქრისტიანთა უდიდესი დღესასწაული, რომელიც მოძრავია. აღინიშნება ახალი სტილით 4 აპრილიდან 8 მაისს შორის პერიოდში. წინ უძღვის, როგორც თავში აღვნიშნეთ, 40-დღიანი მარხვა და შესაბამისი საეკლესიო სამზადისი - განსაკუთრებულად გამოხატული სინანული.

- რას ნიშნავს სინანულის განსაკუთრებულად გამოხატვა?

- ადამიანი ხშირად აბარებს აღსარებას, ხშირად ეზიარება მაცხოვრის ცხოველმყოფელ ხორცსა და სისხლს და, როგორც აღვნიშნეთ, მარხვის მთელ პერიოდში კიდევ უფრო განსაკუთრებული დატვირთვა ეძლევა ვნების კვირას. ქრისტიანთათვის ესაა ზეიმთა ზეიმი, აღმნიშვნელი მესიის მოვლინებისა, რაზედაც ხალხი ეგვიპტის მონობიდან მოყოლებული ოცნებობდა, რასაც ბიბლიური წინასწარმეტყველნი ქადაგებდნენ და რაც ჯვარცმული ქრისტეს სახით განხორციელდა.

- დგება აღდგომა და იწყება ბრწყინვალე შვიდეული.

- დიახ, აღდგომის დღესასწაული კვირაზე მეტ ხანს გრძელდება. ამ კვირას, როგორც უკვე გააჟღერეთ, ბრწყინვალე კვირეული ეწოდება და მისი თითოეული დღე განსაკუთრებული მადლით არის აღსავსე. მსახურებაშიც, შესაბამისად, განსაკუთრებული ელფერია. წირვა-ლოცვა მხოლოდ ამ კვირისთვის დამახასიათებელი რიგით სრულდება. განსხვავებულია სხვა მსახურებები, დილა-საღამოს ლოცვის ნაცვლად, აღესრულება პასექის ჟამნი. არ დაგავიწყდეთ კიდევ ერთი გამორჩეული მომენტი - აღდგომიდან 40 დღის განმავლობაში ქრისტიანები ერთმანეთს ახარებენ ქრისტეს აღდგომას: „ქრისტე აღდგა, ჭეშმარიტად - აღდგა“.

- საფლავზე გასვლის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა, ბევრი აღდგომაზე გადის.

- რაც შეეხება საფლავებზე გასვლას, ტრადიციულად, ბრწყინვალე შვიდეულის ორშაბათს და არა აღდგომას გადიან იქ მორწმუნე ქრისტიანები. არა იმიტომ რომ იგლოვონ, არამედ მიდიან იმისათვის, რათა ახარონ მიცვალებულებს ქრისტეს აღდგომა, რომელმაც თავისი სიკვდილით დათრგუნა სიკვდილი და საფლავებს შინა მყოფებს სიცოცხლე მიანიჭა.

- თუ შეიძლება, დაგვიკონკრეტეთ, რა იგულისხმება?

- ვისაც სწამს ღმერთი, სწამს, რომ ვინც აღდგა და სიკვდილი განაქარვა, მიცვალებულის დატირება და გლოვა დიდი ცოდვაა. განშორების მწუხარება, რომელიც მარად ჩვენს გულშია, ამ დღეს თავშეკავებულად უნდა გამოიხატოს, რამეთუ მას ცვლის დიდი სულიერი სიხარული და კვლავ შეხვედრის უეჭველობის განცდა. ამიტომ, აღდგომის პირველ დღეს, კვირას, არ არის სასაფლაოზე გასვლა მიღებული. ამისთვის ბრწყინვალე შვიდეულის ორშაბათია გამოყოფილი და მრევლი, როგორც წესი, ამას იცავს, თუმცა, ხალხის უმეტესობას ჩამოყალიბებული აქვს ტრადიცია და იმის მიუხედავად, რომ ძალიან კარგად იცის ორშაბათის შესახებ, მაინც გადის სასაფლაოზე. მთავარია, არ იგლოვონ და საკუთარ მიცვალებულებს მიულოცონ აღდგომა.

- ხალხში გავრცელებულია რწმენა, რომ თუ ადამიანი ბრწყინვალე შვიდეულის დღეებში გარდაიცვლება, ის პირდაპირ სამოთხეში მოხვდება, რადგან ამ პერიოდში მისი კარი ღიაა...

- თუ ჩვენ საეკლესიო მსახურების მნიშვნელობას გადავხედავთ, იქ ნებისმიერ ქმედებას, როგორც მღვდლის, ასევე დიაკვნის აღსავლის კარის გაღებას, დაკეტვას თუ მცირე შესვლას - ყველას თავისი მნიშვნელობა აქვს.

- თუკი ამ დროს იღება აღსავლის კარი, სამოთხის კარიც ხომ გაღებული იქნება და, თავისთავად, გარდაცვლილი ადამიანის სულს ეძლევა შიგ შესვლის საშუალება.

- დიახ, აღსავლის ღია კარი სამოთხის კარის გაღებაზე მიანიშნებს, მაგრამ ეს სიმბოლურია და პირდაპირ არ უნდა გავიგოთ, ანუ ვერ ვიტყვი, რომ სამოთხის ღია კარებში შეუძლია სულს თავისუფლად შესვლა. სამოთხის კარი არათუ ერთი კვირის, რამდენიმე თვის ან წელიწადის რომელიმე დროს არის ღია, არამედ - ყოველთვის, ისევე როგორც ჯოჯოხეთის, რომლის კარი უფრო ფართოა. ამიტომ უნდა აღვიქვათ ის, რაც გარეგნული შეფასებების მიღმა რჩება, რასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და გააზრება სჭირდება.

- მაშინ იქნებ ისიც აგვიხსნათ, რა გზით უნდა მოხვდეს სული სამოთხეში? ამ საკითხზე მსჯელობისას ბევრი წინააღმდეგობა იქმნება - ზოგჯერ მძიმედ ცოდვილსაც აქვს იქ მოხვედრის შანსი, ზოგჯერ ერთი შეხედვით სრულიად უწყინარ ადამიანს არ აზიარებენ.

- მაცხოვარი ამბობს: სამოთხე ხილულად არ მოვა, ის თქვენს გულებშია, ისევე როგორც ჯოჯოხეთი. თუ ჩვენი ცხოვრების წესით, სურვილებით, მიდრეკილებებით ვამტკიცებთ, რომ მზად ვართ სამოთხისთვის, ეს განაპირობებს კიდეც მასში შესვლას, ანუ სამოთხის კარის დაკეტვას თუ არ დაკეტვას მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის პიროვნება, მისი სული და ცხოვრება განაპირობებს.

- ამ სიტყვების შემდეგ რთულია, ყოფით თემებზე გადასვლა, მაგრამ მაინც მინდა გკითხოთ: აღდგომის ლიტურგიაზე თუ იქნება დაცული პანდემიის წინააღმდეგ მიმართული წესები?

- ჩვენ რამდენიმე წელია, რაც პანდემიის პირობებში ვცხოვრობთ. ეკლესია მაქსიმალურად ცდილობს, დაიცვას მსოფლიო და ადგილობრივი ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ შემოღებული წესები და რეკომენდაციები, რომლებიც მიმართულია ადამიანის სიცოცხლის და ჯანმრთელობის გადასარჩენად. შარშანაც ასე იყო და ახლაც მოვუწოდებთ მრევლს, დაიცვან ეს წესები, შესაბამისად, ღვთისმსახურებაზე დასწრებისას გამოიყენონ პირბადე და შეძლებისდაგვარად დაიცვან დისტანცია.

> ***„ვისაც სწამს ღმერთი, სწამს, რომ ვინც აღდგა და სიკვდილი განაქარვა, მიცვალებულის დატირება და გლოვა დიდი ცოდვაა. განშორების მწუხარება, რომელიც მარად ჩვენს გულშია, ამ დღეს თავშეკავებულად უნდა გამოიხატოს, რამეთუ მას ცვლის დიდი სულიერი სიხარული და კვლავ შეხვედრის უეჭველობის განცდა. ამიტომ, აღდგომის პირველ დღეს, კვირას, არ არის სასაფლაოზე გასვლა მიღებული***

სტიუარდინგის ტრენინგები – აჭარაში

აჭარაში სტიუარდინგის მიმართულებით სასტუმროების კვებისა და სასმელების სამსახურების თანამშრომლებს ტრენინგები ჩაუტარდათ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ტურიზმის დეპარტამენტის ინფორმაციით, სტიუარდებსა და შეფ-სტიუარდებზე გათვლილი მოკლევადიანი ტრენინგისას მონაწილეები სამზარეულოს დასუფთავების, ჭურჭლისა და სამზარეულოს ინვენტარის მოვლა-დასუფთავების სტანდარტებს გაეცნენ. ამავე ცნობით, აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა სტიუარდინგის თეორიულ-პრაქტიკულ ტრენინგს ორგანიზება პირველად გაუწია. „აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი რეგიონში სერვისის გაუმჯობესების მიზნით ტრენინგებს, მასტერკლასებს, სემინარებსა და ვორქშოპებს ბოლო წლებია, აქტიურად ატარებს. ის რეგიონში მოქმედი კვებისა და განთავსების ობიექტების თანამშრომლებზე, გიდებზე, ტურისტული სააგენტოებისა და საოჯახო-სასტუმრო სახლების წარმომადგენლებზეა გათვლილი. დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობა უფასოა“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

ამირან გურიელიძე

ომარ ტაკიძე: ფერმერებსა და მეცხოველეებს თანადგომა და დახმარება არ მოაკლდებათ

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ჩვენი გაზეთის სტუმარია შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე

- გასული წლების მსგავსად, წელსაც დიდი გამოწვევების წინაშე ვართ - ის პროგრამები, პრიორიტეტები, რომელიც დასახული გვაქვს, აუცილებლად უნდა შესრულდეს. განვლილ ოთხ თვეში 70-მდე ინფრასტრუქტურულ, სოციალურ და კულტურულ პროექტზე კონკურსი გამოცხადდა. სოციალური პროგრამების ასეთი მასშტაბურობა არასდროს გვქონია, თითქმის ერთ მილიონამდე ლარია მობილიზებული. იმ ბენეფიციარებმა, რომლებზეც ეს პროგრამებია მორგებული, უკვე ათვისება დაიწყეს. აპრილში დავასრულეთ მეკომურთა კრებები, რომლებზეც შუახეველებმა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გამოყოფილი თანხები მათი სურვილისამებრ განკარგეს. უკვე ხელთ გვაქვს 100-მდე პროექტი, გამოცხადდება კონკურსები.

- პანდემიამ ყველაფერზე გავლენა იქონია. თითქმის აღარ ტარდებოდა საერო და საღვთო დღესასწაულები, ფესტივალები. ახლა რას აპირებთ?

- ჩვენი ვალია კოვიდპანდემიით გამოწვეული სირთულეების, რუსეთ-უკრაინის ომის და სხვა პროცესების ფონზე, მოსახლეობა განვტვირთოთ, ცხოვრების, შრომის პირობები შევუმსუბუქოთ. რეგისტრირებული კავშირის „მარეთის“ ხელმძღვანელობასთან გვაქვს შეთანხმება, რომ სახალხო დღესასწაული „მარეთობა“ 6 მაისს გაიმართოს. ადგილობრივ ბიუჯეტში გაწერილია თანხები „შუამთობის“, „შუახევობის“, „ჯვარიმინდვრობის“, „ზამლეთობის“, საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის „ზე-კართან“ გამართვისთვის. სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსის მეუფე სპირიდონის ლოცვა-კურთხევით, ჩართული ვართ აღდგომის, სვეტიცხოვლობის, გიორგობის, მთა ღომაზე „ჯვარობის“ დღესასწაულების ორგანიზებულად აღნიშვნაში. შუახევის კულტურის ცენტრთან რამდენიმე ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლი მოქმედებს. ამიერიდან მათგან მუშაობის გააქტიურებას, დღესასწაულებსა და სხვა მასობრივ ღონისძიებებში მეტ ჩართულობას მოვითხოვთ.

- დეკემბერში შუახევის რაიონის ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად დაარსების 70 წელი სრულდება. რა აქტივობებს აპირებთ?

- ამ თარიღს და სახალხო დღესასწაულ „შუახევობას“ ერთად აღვნიშნავთ. საიუბილეო კომისიას აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების პირველი პირები ვუდგავართ სათავეში. ზეიმის გამართვას რეკონსტრუირებულ, კეთილმოწყობილ ფეხბურთის სტადიონზე ვაპირებთ. მრავალი სტუმარი გვეყოლება როგორც ქვეყნის ფარგლებიდან, ისე უცხოეთიდან, მათ შორის, თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ინეგოლიდან.

- ქვეყნისა და რეგიონის მასშტაბით, შუახევი პირველია, სადაც ბიუჯეტიდან, ცალკეული პროგრამიდან მობილიზებული თანხების მიზნობრივად განკარგვის, მონიტორინგის ახალი მექანიზმი შეიმუშავეთ.

- შუახევის მუნიციპალიტეტის მერიაში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებები მიზნად ისახავს კარგი მმართველობის პრინციპების დამკვიდრებას, ადამიანური რესურსების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მუნიციპალური სერვისების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესებას, ასევე, დაგეგმვის და მონიტორინგის სისტემის განვითარებას და შედეგზე ორიენტირებული მართვის ხელშეწყობას. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით შესრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები უნდა იყოს ხარისხიანი, მისგან მიღებული შედეგი დადებითად უნდა აისახებოდეს მოსახლეობაზე. ინფრასტრუქტურული პროექტების ხანგრძლივი პერიოდით სარგებლობა დამოკიდებულია შესრულებული სამუშაოების ხარისხზე. შესაბამისად, ცვლილებების მიზანიც ამ მიმართულებით ხარისხისა და ეფექტურობის გაზრდაა. შეიქმნა მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის დაქვემდებარებაში

არსებული ტექნიკური განყოფილება. იგი, მუნიციპალიტეტის დაკვეთით, შესრულებული სამუშაოების სამშენებლო ზედამხედველობას და ინსპექტირებას განახორციელებს. მუნიციპალიტეტის ეკონომიკის, განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურში შეიქმნა ინფრასტრუქტურის განყოფილება, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ინფრასტრუქტურის სამუშაოების წარმართვასა და საგარანტიო პერიოდების ეფექტურ მართვაზე. შუახევის მუნიციპალიტეტი სოციალური და ჯანდაცვის მიმართულებით, დაახლოებით 1 მილიონამდე ლარს ხარჯავს. შევიმუშავეთ და ვახორციელებთ არაერთ მნიშვნელოვან მუნიციპალურ პროგრამას. ესენია: ჯანდაცვისა და სოციალური, მედიკამენტებით უზრუნველყოფის, ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსების, ოთხი და მეტშვილიანი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარების, აბილიტაცია-რეაბილიტაციის, დიალიზის, სპეციფიკური საჭმლით უზრუნველყოფის, გარდაცვლილი პირების სარიტუალო მომსახურების, მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირების ფინანსური მხარდაჭერის და სხვა პროგრამები.

- უხვთოვლიანმა ზამთარმა, ჭირვეულმა გაზაფხულმა აგრარული მუნიციპალიტეტის მოსახლეობა სერიოზული გამოცდის წინაშე დააყენა. რა ღონისძიებები ტარდება მათ დასახმარებლად?

- ქვეყნის პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივა - ერთი ჰექტარი სახნავი ფართობის მქონე ფერმერების 300 ლარით დახმარება სასიკეთოდ წაადგება 4500-ზე მეტ ოჯახს. პროექტის საერთო თანხა, ქვეყნის მასშტაბით, 35 მილიონი ლარია. უხვთოვლიანმა ზამთარმა ხვნა-თესვის კამპანია თითქმის ერთი თვით გადაავადა. აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო იღებს პასუხისმგებლობას, რომ ფერმერთა ნაწილს მიწის ფართობები უფასოდ დაუხნას. ამავე სამინისტროს მელიორაციის სამსახური 300 ათასამდე ლარს მოახმარს შუახევის ტერიტორიაზე არსებული 6 სარწყავი არხის რეაბილიტაციას. კარგ სამსახურს უწევს ფერმერებს შუახევში არსებული ვაზის, ხეხილის და საჩითილე მეურნეობები. წელსაც ფერმერები ნერგებს შეღავათიან ფასებში მიიღებენ. თანადგომა და ხელშეწყობა არ მოაკლდებათ მეცხოველეებს. იმ ტერიტორიებზე, სადაც ისინი ზაფხულობით პირუტყვს მირეკავენ, ჯერჯერობით 2 მეტრამდე თოვლია. შევეცდებით ჩირუხის, ღომას, თაგინურის, გრძელგორის, კატრიანის, განდრეკილის, მერიაყელის, სანალიას მიმართულებით არსებული საავტომობილო გზები თოვლისა და ზამთრის ნარჩენებისგან დროულად გავწმინდოთ.

- „ურბანული განვითარების“ პროგრამით შუახევში დაწყებული ორი მნიშვნელოვანი პროექტი ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში თუ დასრულდება?

- დაბის ცენტრში არსებული კულტურის სახლის შენობისა და ფეხბურთის სტადიონის რეკონსტრუქცია საშური საქმეა. კონკურსში გამარჯვებული ფირმების ხელმძღვანელები საქმეს პასუხისმგებლობით ეკიდებიან. ყველაფერი კომპეტენტური, კვალიფიციური სპეციალისტების რეკომენდაციების მიხედვით გაკეთდება. გვაქვს მოძიებული მასალები სოფლებში არსებულ სიტუაციებზე, აღრიცხულია ის ოჯახები, რომლებიც ზამთარმა დააზიანა. იმ ადგილებზე, სადაც ფერდსამაგრი სამუშაოები მეწყერულ პროცესებს შეაჩერებს, სათანადო კომუნიკაციები გაკეთდება. წელს ამ მიმართულებით ადგილობრივ ბიუჯეტში ნახევარ მილიონამდე ლარია მობილიზებული. ზამთარში რამდენიმე ოჯახი ზვავმა საფრთხის წინაშე დააყენა. ქვეყნის, რეგიონის ხელმძღვანელობის თანადგომით, მათაც საჭირო დახმარება გაეწევათ. ამ ეტაპზე მეწყერული პროცესების გააქტიურება ნიგაზეულში, ჯაბნიძეებში, მოფრინეთში, ცინარეთში, ვანში, ჩანჩხალოში, მახალაკიძეებში შეიმჩნევა.

- ⟩ ქვეყნის პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივა - ერთ ჰექტარი სახნავი ფართობის მქონე ფერმერების 300 ლარით დახმარება, სასიკეთოდ წაადგება 4500-ზე მეტ ოჯახს. პროექტის საერთო თანხა, ქვეყნის მასშტაბით, 35 მილიონი ლარია. უხვთოვლიანმა ზამთარმა ხვნა-თესვის კამპანია თითქმის ერთი თვით გადაავადა. აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო იღებს პასუხისმგებლობას, რომ ფერმერთა ნაწილს მიწის ფართობები უფასოდ დაუხნას

- ბიუჯეტით დაიწყეთ მეორე კვარტალი. თანხა რა საჭიროებებს მოხმარდება?

- მისასალმებელია, რომ შუახევის ბიუჯეტმა 17 მილიონ 245 ათას ლარს გადააჭარბა. მეორე კვარტალის დასაწყისში იგი 2 მილიონი ლარით გაიზარდა. შესაძლებლობის მაქსიმუმს ვაკეთებთ, რომ სოციალურად დაუცველ, სიღარიბის ზღვარზე მყოფ ოჯახებს დახმარების ხელი გავუწოდოთ, მოსახლეობას მკურნალობისთვის, გადაუდებელი ოპერაციებისთვის, საბინაო პირობების გაუმჯობესებისთვის თანხები გამოვუყოთ.

- ჭვანის ხეობის, მთა ჩირუხის ტურისტული პოტენციალის ასათვისებლად 20 მილიონამდე ლარია მობილიზებული. ერთხელ გამოცხადებული კონკურსი ჩავარდა. ახლა რა მდგომარეობაა?

- ჭვანის ხეობაში, ჯვარიმინდორის ტერიტორიაზე, რიგი სამუშაოები უკვე დაწყებულია. კონკურსის გამარჯვებულის გამოვლენის მოლოდინში ვართ და დიდი სამუშაოები დაიწყება. „წისქვილების სოფელი“, „სასტუმრო კლდეში“, თანამედროვეობის შესაფერისი ზიპლაინი მთა ჩირუხში, უცხოელი და ადგილობრივი ვიზიტიორების სანახაობით ობიექტებად იქცევა.

- დროში გაიწელა დაბა შუახევში თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი საჯარო სკოლის მშენებლობა და ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის 9-კილომეტრიანი მონაკვეთის რეკონსტრუქცია.

- სკოლის მშენებლობა შარშან უნდა დასრულებულიყო, მაგრამ კონკურსში გამარჯვებულმა კომპანიამ ვადები დაარღვია და მის მიმართ საჯარიმო სანქციები გაატარა დამკვეთმა - აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელმძღვანელობამ. უკვე მკაცრი კონტროლია დაწესებული, რომ ახალი სასწავლო წელი ახალ შენობაში დავიწყოთ. ბათუმი-ახალციხის საავტომობილო მაგისტრალის 59-68-ე კილომეტრის რეკონსტრუქცია კომპანია „ზიმო-7“-მა ითავა, მაგრამ კომპანია გაკოტრდა, სამუშაოები შეჩერებულია. იმედია, გარკვეული რეგულაციების შემდეგ სამუშაოებს განვაახლებთ.

- თოვლდნობას სტიქიური პროცესების გააქტიურება მოჰყვა. რა პრევენციული ღონისძიებების გატარებას აპირებთ?

- ყველაფერი კომპეტენტური, კვალიფიციური სპეციალისტების რეკომენდაციების მიხედვით გაკეთდება. გვაქვს მოძიებული მასალები სოფლებში არსებულ სიტუაციებზე, აღრიცხულია ის ოჯახები, რომლებიც ზამთარმა დააზიანა. იმ ადგილებზე, სადაც ფერდსამაგრი სამუშაოები მეწყერულ პროცესებს შეაჩერებს, სათანადო კომუნიკაციები გაკეთდება. წელს ამ მიმართულებით ადგილობრივ ბიუჯეტში ნახევარ მილიონამდე ლარია მობილიზებული. ზამთარში რამდენიმე ოჯახი ზვავმა საფრთხის წინაშე დააყენა. ქვეყნის, რეგიონის ხელმძღვანელობის თანადგომით, მათაც საჭირო დახმარება გაეწევათ. ამ ეტაპზე მეწყერული პროცესების გააქტიურება ნიგაზეულში, ჯაბნიძეებში, მოფრინეთში, ცინარეთში, ვანში, ჩანჩხალოში, მახალაკიძეებში შეიმჩნევა.

- გაზრდილი ბიუჯეტით დაიწყეთ მეორე კვარტალი. თანხა რა საჭიროებებს მოხმარდება?

- მისასალმებელია, რომ შუახევის ბიუჯეტმა 17 მილიონ 245 ათას ლარს გადააჭარბა. მეორე კვარტალის დასაწყისში იგი 2 მილიონი ლარით გაიზარდა. შესაძლებლობის მაქსიმუმს ვაკეთებთ, რომ სოციალურად დაუცველ, სიღარიბის ზღვარზე მყოფ ოჯახებს დახმარების ხელი გავუწოდოთ, მოსახლეობას მკურნალობისთვის, გადაუდებელი ოპერაციებისთვის, საბინაო პირობების გაუმჯობესებისთვის თანხები გამოვუყოთ.

შეხვედრა ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან

აჭარის უმაღლესი საბჭოს აპარატის თანამშრომლებსა და ახალგაზრდული ორგანიზაციების - „ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის“ და „ბათუმის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრის“ წარმომადგენლებს შორის საინფორმაციო-შემეცნებითი ხასიათის შეხვედრა გაიმართა. ამის შესახებ ინფორმაციას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ავრცელებს. ამავე ინფორმაციით, შშმ პირებთან ურთიერთობაში არსებული ბარიერების, სტერეოტიპების, მოდელების, მიდგომების, სეგრეგაციის, ინტეგრაციის, ინკლუზიის, საკანონმდებლო ჩარჩოსა და რიგი სხვა საკითხების შესახებ ინფორმაცია საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებს ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა - თომა კაკაბაძემ, რამინ მაჭარაშვილმა, სოსო ყაზაიშვილმა, დავით არძენაძემ, დეა ერემაშვილმა და ნინო ჩხაიძემ მიაწოდეს. შეხვედრის მონაწილეები გაეცნენ შშმ პირებთან ურთიერთობის თანამედროვე, მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში აპრობირებულ გზებსა და მეთოდებს, ასევე ამ მიმართულებით არსებულ სიახლეებს.

„შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა უმაღლეს საბჭოში ამოქმედებულ მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრსა და ახალ ვებპლატფორმაზე - Chaerte.sca.ge, რომელიც სრულად ხელმისაწვდომია შშმ პირთათვის, გააჩნია ხელმისაწვდომობის ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე სტანდარტი საქართველოში. მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის მხარდამჭერია ევროკავშირი (EU) და გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) პროექტის - „საპარლამენტო დემოკრატიის კონსოლიდაცია საქართველოში“ ფარგლებში, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან (IDFI) თანამშრომლობით. საინფორმაციო შეხვედრები შშმ პირთა საკითხებზე სამომავლოდაც გაგრძელდება“, - ნათქვამია ინფორმაციაში.

ამირან გურიელიძე

„ჩემი სული თავისუფალია პოეზიაში, ბუნებაში, მონათესავე სულის ადამიანებთან...“

ნაირა შუტკარაძე 27 48 93

ნინო ქანთარია *ახალგაზრდა, საინტერესო პოეტია, გამოცემული აქვს სამი წიგნი, ამავდროულად, არის წარმატებული სტუდენტი, რასაც მოწმობს მის მიერ მოპოვებული დიპლომები და ჯილდოები. ნინო თავის გულის ნადებს და ნაფიქრალს ამ ინტერვიუში გვიზიარებს.*

- წარმოგვიდგინეთ საკუთარი პერსონა - ვინ არის ნინო ქანთარია?

- ხშირად მეკითხებიან ამას და მეც ვეკითხები საკუთარ თავს, ვინ ხარ შენ? ვარ პოეტური სულის ადამიანი, რომელიც ცდილობს საკუთარი თავის გამოძერწვას ერის და ქვეყნის საკეთილდღეოდ. ამჟამად ვარ მომავალი ფილოლოგი. თავისუფალ დროს ვწერ ლექსებს, დაკავებული ვარ ფოტოგრაფიით.

- რუსეთში დაიბადეთ, 5 წლის იყავით, როცა სამშობლოში დაბრუნდით. მერე რა მოხდა, როგორი იყო თქვენი ბავშვობა, ოჯახი...

- სამშობლოში დაბრუნება დიდი ბედნიერება იყო, თუმცა არასდროს ვიყავი აქ ნამყოფი. დავიბადე რუსეთში, მაგრამ ყოველთვის ვგრძნობდი სიცარიელეს სულში და არასდროს მიგრძნია თავი ბოლომდე ბედნიერად. ჩემი ბავშვობა ყველაზე ლამაზი და ზღაპრული იყო. მყავს საუკეთესო მშობლები. ყოველთვის ვგრძნობდი განსაკუთრებულ სითბოს. ოჯახში უფროსი ძმაც მეგულება საყრდენად და მეტად ბედნიერი ვარ, რადგან დაძმობა სულ სხვა სიხარულია. სამშობლოში დაბრუნებას ბევრი სირთულე ახლდა, რადგან არცერთი ქართული სიტყვა არ ვიცოდი, ვერ ვსაუბრობდი და მიწევდა საკუთარ თავთან ბრძოლა, რომ მონდომებით მესწავლა მშობლიური ენა. მიზანს მივაღწიე, თუმცა დღესაც ვაწყდები სირთულეებს. ბედნიერიც ვარ, როცა მიწევს ბრძოლა, რადგან ბრძოლის შედეგად მოპოვებული სიხარული ყველაზე ძლიერია ქვეყნად. ჩემთვის ყოველი წარუმატებლობა ახალი წარმატების საწყისია.

- „გადაწყდა მაღლა, ლექსებში ვიშვი“... ამბობთ ერთ-ერთ ლექსში. როდის გაიღვიძა თქვენში პოეტმა?

- პოეტად არ მივიჩნევ საკუთარ თავს, თუმცა წერა დავიწყე მაშინვე, როცა ვისწავლე ქართული ენა. რაღაცნაირად ვგრძნობდი, რომ მახლდა სხეულში ჩაკეტილი განცდა, ხოლო მშობლიურმა ენამ თავისი სრულყოფილებით გამოაღვიძა, თავისუფლება აჩუქა გრძნობებს. წერის სურვილმა მძლია და ასე დაიწყო ჩემს ცხოვრებაში, ყველაფრის მიუხედავად, ყველაზე სასიამოვნო ეტაპი.

- სამი წიგნის ავტორი ხართ, ერთ-ერთია „არ დაანგრიოთ სულში ტაძარი“, მეოთხე წიგნის გამოცემას აპირებთ...

- დიახ, მესამე წიგნი ახლახან გამოვეცი,

ამჟამად კი პროზაზე დავიწყე მუშაობა. მესამე წიგნის სახელია „იმედით სავსე, განთიადს ვუმზერ“. მომდევნო წიგნი დამუშავების პროცესშია. ჩემთვის დიდი ბედნიერებაა, მყავდეს ობიექტურად მოაზროვნე მკითხველი, თუმცა ყოველთვის ვითვალისწინებ სუბიექტურ რჩევებსაც. ჩემთვის მუდამ მისაღები და საჭიროა კრიტიკა, რადგან ის გვზრდის. წიგნების გამოცემას ვუყურებ სხვა თვალით, რადგან დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორია გამოსაცემი მასალა. ყოველთვის ხარისხს ვანიჭებ უპირატესობას და არა - რაოდენობას.

- „ქართულ მიწაზე მომრავლდა მტერი... წართმეულ მიწას - აფხაზეთს ვეტრფი, ბობოქრობს რიწა, რამდენი ვერ ვთქვი“... ახლა პროზაულად თქვით სათქმელი...

- ჩემთვის დიდი ტკივილია აფხაზეთი. სამწუხაროდ, საქართველოს არაერთი მტერი ჰყავდა და ჰყავს დღესაც. მტკივა უმოქმედობა. მიმძიმს, როცა არ შემიძლია რაღაც სასიკეთოდ შევცვალო. ქართული სული ჩემში ბობოქრობს და ვერ ეგუება უსამართლობას. ზოგადად, ძალიან მტკივა არდაბადებული სამართალი. ვცდილობ, ნაკლებად ვისაუბრო ამ თემაზე, რადგან უზომოდ მტკივა დევნილების, უდანაშაულო ადამიანების ხვედრი და მეშინია, დარდმა ჩემი მგრძნობიარე სული მეტად არ დაამძიმოს. ძილშიც კი ვგრძნობ, რომ სადღაც ვიღაც განიცდის. ვგრძნობ, რომ ჩემი ქვეყანა უშვილოდაა დარჩენილი. ვერ გამიგია, შვილმა მიატოვა, წაართვეს თუ საერთოდ აღარ ჰყავს ცოცხალი?!

- წარმატებული სტუდენტი ხართ. მომავალ ფილოლოგს როგორ გესახებათ მომავალი?

- ჩემი თავი წარმომიდგენია სკოლაში, სადაც მოსწავლეებს ვასწავლი არა მარტო საგანს, არამედ ადამიანობას. მინდა, კარგი ფილოლოგი დავდგე და ავუმაღლო ცნობიერება მოსწავლეებს. ჩემი დიდი ოცნებაა, მეტი გულანთებული პატრიოტი აღვზარდო, რომ მათ გადაარჩინონ ქვეყანა თავისი კეთილი, სამართლიანი და უბოროტო საქმით თუ სიტყვით.

- არაერთი საპატიო სიგელის, სერტიფიკატის, ჯილდოს მფლობელი ხართ, რამდენად მნიშვნელოვანია სტუდენტებისთვის პროექტებში მონაწილეობა?

- არ აქვს მნიშვნელობა, ამა თუ იმ კონკურსში გავიმარჯვებთ თუ არა, რადგან მთავარია მონაწილეობა. გამოცდილება ბევრს ნიშნავს. სტუდენტმა უნდა იაქტიუროს და ყველა სფეროში გამოავლინოს თავი. აუცილებელია, ჩაერთოს ქვეყნის კულტურის, განათლების და ხელოვნების საკითხებში.

- ადამიანები, რომელთა არსებობამ და მაგალითმა ძალა შეგმატათ...

- ძალიან ბევრი სამაგალითო და ძლიერი ადამიანი მეგულება და მიჭირს, ვინმეს გამოყოფა, მაგრამ მაინც ვიტყვი - დღეს ჩემთვის სტიმულის მომცემი და სამაგალითო პიროვნება ქალბატონი ირმა ქურასბედიანია. ის გახლავთ ძალიან საინტერესო პოეტი, რომელიც გამოირჩევა თავმდაბლობით, სიკეთით და უბრალოებით. მან არაერთ ახალგაზრდას გაუწოდა დახმარების ხელი. ეს ის ადამიანია, რომელიც ყველას უყვარს და ყველას ეიმედება. ამჟამად მოღვაწეობს და ცხოვრობს ქუთაისში, არის სალონური საღამოების ხელმძღვანელი, ბატონ თემურ ძიძიგურთან ერთად. ვაფასებ მასში უბრალოებას, უანგარო სიკეთეს და სულის სიძლიერეს. დიდი ნებისყოფის ადამიანია, რომელიც მტერსაც კი არ ტოვებს გასაჭირში. მინდა, ასეთი ვიყო და, ყველაფრის მიუხედავად, არ შევიცვალო, არ დავკარგო საკუთარი თავი.

- რაზე სწუხართ და რა გახარებთ?

- მცირედი მახარებს და მცირედი მტკენს გულს. მტკივა უსამართლობა, ტყუილი და ორპირობა. სევდიანი ადამიანი ვარ ბუნებით, მაგრამ - უზომოდ იმედიანი. ჩემში წუხილს იწვევს მამულის და ერის სატკივარი. ყველაფერი ლამაზი მახარებს. ლამაზი ღიმილი, გულიანი მზერა. ბედნიერი ვარ, როცა შემიძლია ვიღაც გავახარო. ბედნიერებას მანიჭებს სხვისი სიხარული. კიდევ ძალიან მიყვარს, როცა მოსმენის კულტურა აქვთ. ვაფასებ ადამიანებს, რომლებიც მათთვის მიუღებელ აზრსაც კი სცემენ პატივს.

- თვისება, რომელიც ყველაზე მეტად გაქვთ განვითარებული...

- პასუხისმგებლობის გრძნობა, რომელიც ყოველთვის ჩემთანაა. სადმე თუ ვარ მისასვლელი, ყოველთვის ადრე მივდივარ. ვარ ძალიან ერთგული და მოსიყვარულე ადამიანი. შემიძლია გული ვაჩუქო, ვინც გამიგებს და მიმიღებს ისეთს, როგორიც ვარ, თუმცა უზომოდ ვბრაზდები, როცა ცდილობენ, შეგნებულად მატკინონ გული.

- როგორ აღიქვამთ ჩვენს საზოგადოებას? რას შეცვლიდით ჩვენი ცხოვრების წესში?

- მტკივა დღევანდელობა. ძალიან ბევრ კარგ ადამიანს ვიცნობ, მაგრამ ბევრი ბოროტი და უგულოც მეგულება. ძალიან ბევრი რამაა შესაცვლელი საზოგადოებაში, რომელსაც უჭირს განსხვავებული აზრის მიღება და პატივისცემა. არ დავუშვებდი, რომ ადამიანებმა დაამცირონ ერთმანეთი, შევცვლიდი მათ ბუნებაში ქედმაღლობას, შევაყვარებდი სიცოცხლეს და ერთმანეთს. ყველანაირად ვეცდებოდი, მიმღებლობის პრობლემაში გარკვევას და მის მოგვარებას. საზოგადოებაში მოვსპობდი შურს და ბოღმას, რომელიც ანადგურებს ყველაფერ ლამაზს ადამიანში.

- როგორ ფიქრობთ, ბედი გწყალობთ?

- მწყალობს, რადგან ძალიან ბევრი კარგი ადამიანი მეგულება გვერდით. ბედი მიღიმის, რადგან ვგრძნობ, რომ ვარ ცოცხალი და შემიძლია მადლიერების გამოხატვა, როცა ეს ყველაზე მეტად უჭირთ ადამიანებს.

- „ვფიქრობ, რომ ცხოვრებაში მთავარია საკუთარი თავის პოვნა... სადაც სული თავისუფალი იქნება, მე ასეთი ადგილი ცარიელ ფურცლებში ვიპოვე“, - ამბობთ ერთგან. კიდევ სად ჰპოვებს სული თავისუფლებას?

- ჩემი სული თავისუფალია პოეზიაში, ბუნებაში, მონათესავე სულის ადამიანებთან, მარტოობასა და ძილში. ყველა ამ დროს, რაღაც ამოუცნობს განვიცდი. ჩემი სული ჩარჩოებს მიღმაა თავისუფალი. არასდროს ვუზღუდავ თავს ბედნიერებას და წუხილს.

- დაბოლოს, რას ჰკითხავდით საკუთარ თავს?

- საკუთარ თავს შევეკითხებოდი ერთს: კმაყოფილი ვარ თუ არა არჩეული გზით და რატომ?

უკრაინა

უკრაინამ რუსეთთან მიაღწია შეთანხმებას ალყაში მოქცეულ ქალაქ მარიუპოლიდან ქალების, ბავშვებისა და მოხუცების ევაკუაციისთვის ჰუმანიტარული დერეფნის შექმნასთან დაკავშირებით, - ამის შესახებ უკრაინის ვიცე-პრემიერმა ირინა ვერეშჩუკმა განაცხადა. „მარიუპოლში კატასტროფული ჰუმანიტარული სიტუაციის გათვალისწინებით, დღეს ჩვენს ძალისხმევას სწორედ ამაზე გავამახვილებთ“, - წერს ვერეშჩუკი „ფეისბუქზე“. შეგახსენებთ, რუსული ძალების მიერ ალყაშემორტყმულ საპორტო ქალაქ მარიუპოლში რამდენიმე კვირაა ათასობით ადამიანია ჩარჩენილი. რუსეთის თავდაცვის სამინისტრო „აზოვსტალის“ ქარხნის ტერიტორიაზე მყოფ უკრაინელ მებრძოლებს იარაღის დაყრისა და ნებაყოფლობით ჩაბარებისკენ მოუწოდებს. უწყების ცნობით, ასეთივე შეთავაზება გუშინაც გააჟღერეს, თუმცა არცერთმა უკრაინელმა ჯარისკაცმა ის არ მიიღო.

* * *

რუსეთმა დონბასში შეტევა გააძლიერა, მაგრამ მის პროგრესს აფერხებს გარემოსდაცვითი, ლოჯისტიკური და ტექნიკური გამოწვევები, - ამის შესახებ ნათქვამია გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის უახლეს ანგარიშში. „დონბასის კონტროლის ხაზზე რუსეთის მიერ დაბომბვა და დარტყმები კვლავ ძლიერდება, უკრაინელებმა რუსული ძალების წინსვლის მრავალი მცდელობა მოიგერიეს. რუსეთის პროგრესის მიღწევის უნარზე კვლავ მოქმედებს გარემოსდაცვითი, ლოჯისტიკური და ტექნიკური გამოწვევები, რომლებიც მათ აქამდე აწუხებდათ, უკრაინის მოტივირებული შეიარაღებული ძალების მედეგობასთან ერთად“, - ნათქვამია ინფორმაციაში. მათივე მტკიცებით, რუსეთის უუნარობა, შეაჩეროს წინააღმდეგობა მარიუპოლში და თავდასხმები, რამაც ზიანი მიაყენა მშვიდობიან მოსახლეობას, მიუთითებს მის მუდმივ წარუმატებლობაზე, მიაღწიოს მიზნებს ისე სწრაფად, როგორც სურს.

* * *

უკრაინის პირველი ლედის განცხადებით, რუსი სამხედროების მიერ უკრაინაში გამოვლენილი არაადამიანურობის მიზეზი შეიძლება ის იყოს, რომ მათ ანალოგიურად ექცევიან საკუთარ ქვეყანაში. ამის შესახებ ელენა ზელენსკამ ჩეხურ ყოველდღიურ გამოცემა Respekt-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ისაუბრა. „ახლა მთელი მსოფლიო ცდილობს, რუსების ასეთი არაადამიანურობის მიზეზი ამოიცნოს. ჩემი ვერსიით, ეს, პირველ რიგში, იმის გამოხატულებაა, როგორ ექცევა თავად რუსეთის ხელისუფლება თავის ჯარისკაცებსა და, ზოგადად, ხალხს. ეს არის დაქვემდებარებულების დამცირებისა და ძლიერების დაუსჯელობის ნაზავი და როდესაც მსგავსი დამცირებული დაქვემდებარებული იღებს ძალაუფლებას, ის ხდება მანიაკი და სამაგიეროს უხდის მსოფლიოს“, - განაცხადა პირველმა ლედიმ.

* * *

ლუგანსკის ოლქის ქალაქ კრემინაში, რომელსაც რუსული ძალები აკონტროლებენ, ქუჩის ბრძოლები მიმდინარეობს, - ამის შესახებ ინფორმაციას ლუგანსკის ოლქის სახელმწიფო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი სერგი გაიდაი ავრცელებს. მისი თქმით, მძიმე არტილერიის გამოყენებით გახსნილმა ცეცხლმა შვიდ საცხოვრებელ კორპუსში ხანძარი გამოიწვია. დაიღუპა ოთხი მშვიდობიანი მოქალაქე. ოლქის სახელმწიფო ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა მოქალაქეებს თავშესაფრებში დარჩენისკენ მოუწოდა.

* * *

ჩინეთი „განაგრძობს სტრატეგიული კოორდინაციის გაძლიერებას“ რუსეთთან მიუხედავად იმისა, როგორ შეიცვლება „საერთაშორისო ლანდშაფტი“, - ამის შესახებ ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაშია აღნიშნული. „როგორც უნდა შეიცვალოს საერთაშორისო ლანდშაფტი, ჩინეთი გააგრძელებს რუსეთთან სტრატეგიული კოორდინაციის გაძლიერებას, რათა მიაღწიოს ურთიერთსარგებელზე დაფუძნებულ თანამშრომლობას, ერთობლივად დაიცვას ჩვენი საერთო ინტერესები და ხელი შეუწყოს ახალი ტიპის საერთაშორისო ურთიერთობების შექმნას“, - ნათქვამია განცხადებაში. უწყების ცნობით, ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლი იუჩენგმა ეს მოსაზრება ჩინეთში რუსეთის ელჩ ანდრეი დენისოვს ორშაბათს გამართულ შეხვედრაზე გააცნო. სამინისტროს ინფორმაციით, მხარეებმა ასევე გაცვალეს მოსაზრებები უკრაინისა და სხვა საერთაშორისო თუ რეგიონულ საკითხებთან დაკავშირებით, თუმცა უწყება დამატებით დეტალებს არ აკონკრეტებს.

მოამზადა
ნაირა შუტკარაძემ

მოქალაქეების მცირე ჯგუფმა მარიუპოლის დატოვება შეძლო

სააგენტო Reuters-ის ცნობით, მშვიდობიანი მოსახლეობის მცირე ჯგუფმა გუშინ უკრაინის

სამხრეთით მდებარე ალყაში მოქცეულ ქალაქ მარიუპოლის დატოვება შეძლო. საპორტო ქალაქში თვითმხილველების თქმით, ათობით ადამიანი ავტობუსების მცირე კოლონაში ჩაჯდა და დაგეგმილი ევაკუაციის პუნქტიდან ზაპოროჟიეში გაემგზავრა. მარიუპოლში 100 000-ზე მეტი ადამიანი რჩება.

ამირან გურიელიძე

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ეოვის ქ. №2
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 20/04/22, 21 15 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

მძაფრსიუჟეტიანი ფილმის პერსონაჟებად ქცეული რეალური ადამიანები

ერთი წელია, რაც საავტორო სამხატვრო სტუდია „არტპოლიგლოტი, არტინტერიერის“ დამფუძნებელმა, მხატვარმა ნინო გოგოლიშვილმა საკუთარ სტუდიასთან შექმნა წიგნის მკითხველთა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, წიგნის ჭიების კლუბი „არტპოლიგლოტი-პინა“

ამ ხნის განმავლობაში კლუბის წევრთა რიცხვი ერთგვარად „დადუღდა“, ანუ ზოგიერთი წავიდა, რომლებიც სხვებმა შეცვალეს და ამჟამად 30-მდე ადამიანი პერიოდულად, ორი კვირიდან ერთ თვემდე ინტერვალით, იკრიბება და საერთო გადაწყვეტილებით შერჩეულ წიგნს, რომელსაც რომელიმე წევრი საგანგებოდ წარუდგენს, კითხულობს, რათა შემდეგ ერთმანეთს შთაბეჭდილებები გაუზიაროს. საღამოები, რომლებსაც კლუბის წევრები ამა თუ იმ მხატვრული ნაწარმოების გარჩევა-ანალიზში ატარებენ, დაუვიწყარი ხდება, რადგან აქ მხოლოდ გულწრფელი ემოციების ურთიერთგაზიარება, ერთმანეთის მოსმენა და ამგვარად საინტერესო ადამიანების სულიერად დაახლოება, ასეთი ერთობლიობით გახარება და გამდიდრებაა მთავარი და არა საკუთარი აზრებითა და ინტელექტით, წაკითხული წიგნების რაოდენობით ყელყელაობა. მოკლედ, აქ ნამდვილ თანამოაზრეთა ჯგუფი ჩამოყალიბდა, რომლის წევრებსაც უყვართ მხატვრული ლიტერატურა. რა გასაკვირია, რომ ამ კატეგორიის ადამიანებს, რომლებიც ერთმანეთთან წიგნის სიყვარულმა დააკავშირა, დღეს მსოფლიოს ნომერ პირველ საწუხარზე ერთად გამოხმაურების სურვილი გაუჩნდათ.

კლუბის შექმნის ერთი წლის თავზე მისმა სულისჩამდგმელმა ნინო გოგოლიშვილმა მეგობრებს თავი იახტკლუბში მოუყარა, რათა ზღვაში კატარღით გასულიყვნენ, რომელზეც უკრაინის ეროვნული ტანსაცმლით შემოსილნი ავიდოდნენ და საქართველო-უკრაინის დროშებს ააფრიალებდნენ. მოძმე ერისადმი პატივისცემისა და უსამართლო ომში მისი მხარდაჭერის ამ ლამაზმა გამოვლინებამ სანაპიროზე მოსეირნე ადამიანების, რომელთა შორის უკრაინელებიც მრავლად იყვნენ, ყურადღება მიიქცია. ისინი ხელს უქნევდნენ და ფოტოებს უღებდნენ ზღვაში გასულ კლუბის წევრებს, რომელთა სამოსი და ქარში მოფრიალე დროშები ფერადი ნახატივით იკვეთებოდა თითქოს მხატვრის ტილოდ ქცეულ ცისა და ზღვის ცისფერ ფონზე.

40-წუთიანი გასეირნება უკრაინული მელოდიების თანხლებითა და „გაუმარჯოს უკრაინასა და საქართველოს“ შეძახილებით მოძმე ერისადმი სიყვარულისა და მხარდაჭერის მართლაც, ისეთი გამოხატულება იყო, რომელსაც გულგრილად ვერ უყურებდი, რასაც მოწმობდა სანაპიროზე შეკრებილი ადამიანების რეაქცია. თუმცა ამით წიგნის კლუბის წევრთა არც უკრაინისადმი მხარდაჭერა დამთავრებულა და არც საიუბილეო შეხვედრა. დღის მეორე ნახევარში ისინი ჩვეული შეხვედრების ადგილს - ნინო გოგოლიშვილის არტსტუდიის სახელოსნოს დაუბრუნდნენ და სანამ მადლენ მილერის რომან „კირკეს“ განხილვას შეუდგებოდნენ, ნინო გოგოლიშვილმა მათ უკრაინელი მხატვრების: ალიონა ტოლკაჩოვას (Alyona Tolkachova), ოქსანა სვიჟაკის (Oksana Svizhak), ნატალია კორფ-ივანუს (Natalia Korf-Ivanu), მარია პოლაკოვასა (Maria Polakova) და სხვების ვიდეოჩანაწერები წარუდგინა. წიგნის კლუბის დიასახლისმა ისინი უკრაინის სხვადასხვა არტსიმპოზიუმში მონაწილეობისას გაიცნო და დაუმეგობრდა. ქართველი მხატვრის თხოვნით მისმა უკრაინელმა კოლეგებმა მშობლიურ ენაზე წაიკითხეს საოცრად ჟღერადი და ტკივილამდე ემოციური ლექსები, რომლებსაც იქვე გვითარგმნიდა კლუბის ერთ-ერთი წევრი, თუმცა თარგმნაც არ იყო საჭირო, იმდენად მეტყველი იყო მკითხველთა განცდები და უკრაინული ენის მელოდიურობა. ამას ემატებოდა ვიდეოჩანაწერის თითოეული პერსონაჟის ნინოსეული წარდგენა მათი ომის ისტორიებით, რომელთა მოსმენის შემდეგ პატრიოტულ თემაზე წაკითხული ლექსების აღქმა უცრემლოდ შეუძლებელი ხდებოდა.

არტპერფორმანსით უკრაინისადმი მხარდაჭერის გამოხატვასთან დაკავშირებით ნინო გოგოლიშვილმა გვითხრა: „რაც ომი დაიწყო მას შემდეგ მინდოდა, რაიმე ფორმით გამომეხატა ჩემი ემოცია ომის გამო. მაქვს პროტესტი და უდიდესი სოლიდარობა უკრაინელი ხალხისადმი. მინდოდა ეს არტპერფორმანსის სახით გადმომეცა, რადგან ხელოვნების ენით შეიძლება სწორი, მკვეთრი და ემოციური მესიჯი გაუგზავნო ყველას. წლებია, უკრაინა რჩება განსაკუთრებულ შთაგონებად ჩემს ფერწერაში, ხშირად ჩავდიოდი იქ, დიდხანს ვჩერდებოდი სხვადასხვა ადგილას, ვხატავდი, ლამაზ უკრაინულ სოფლებში ხეტიალისას, გზაში ვეძებდი მოტივებს. იქაურობის განცდით, უკრაინელებთან ურთიერთობით შთაგონებული ვქმნიდი პორტრეტებს და სხვა სახის ტილოებს. ცხადია, რომ უკრაინის სხვადასხვა ქალაქში კოლეგებს შორის შევიძინე მეგობრები, ამიტომაც განსაკუთრებულად ტკივილიანია ეს ომი ჩემთვის. ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ ომის სერიას შევქმნიდი, მაგრამ იმდენად ექსპრესიული ემოცია მოდის, რომ შეუძლებელია გაჩერდე, დააიგნორო და არ ხატო!“.

ასეთი ტილოებიდან გამოვარჩევდით პორტრეტს, რომელსაც ნინომ დაარქვა: ალიონას ომის ჩიტები კიევის თავზე“. როგორც თავად ამბობს, ამ ნახატით შორიდან ანუგეშა მისი მეგობარი, კიეველი ფერმწერი ალიონა ტოლკაჩოვა, რომელმაც ომის პერიოდში ცისფერი - იმედის ჩიტების ხატვა დაიწყო დაბომბილი კიევის თავზე, „მე ეს ფრინველები გადავაქციე ჯადოსნურ ოქროსფერ, მისტიკურ ფრინველებად, რომლებიც თავისუფლებისა და იმედის სიმბოლოა“, - გვითხრა ნინომ.

მისი შთაგონების წყარო ასევე გახდა კიეველ მხატვარ ოქსანა სვიჟაკის „ომის ალბომი“ - 5-წუთიანი ჩანახატები, რომლებზეც ქართველი მხატვარი ემოციების გარეშე ვერ ლაპარაკობს და მათ „ხელისგულის ალბომს“ უწოდებს, რადგან ძალიან პატარა ზომისაა, თუმცა დიდ ტრაგედიებს იტევს. „ეს არის ომის დღიურები: დამწვარი ტაძრები, ადამიანების შეშინებული მზერა (რომელიც მიჯაჭვულია რაკეტის ზოლით გადასერილ ცას), გმირი ჯარისკაცებისთვის ღირსების კორიდორი გზაზე, აფეთქებისგან დეფორმირებული მანქანები საოცარ სევდას გამოსცემენ... წიგნის კლუბის საიუბილეო შეხვედრა მივუძღვენი უკრაინულ ლიტერატურას, უკრაინულ პოეზიას. ჩემს მეგობრებს ვთხოვე, ჩაეწერათ ვიდეოკოლაჟები, აუცილებლად წაეკითხათ ლექსები უკრაინულ ენაზე, ასევე მოეყოლათ ერთ ტილოზე, რომელიც ბოლო დროს ომის თემაზე დახატეს. ყოველი ვიდეოკოლაჟი იყო სულისშემძვრელი. მე ყოველ ჯერზე, როცა მათ ვუსმენ, მეტირება, ვხედავ, როგორ შეცვალა ომმა ეს ადამიანები. ყოველდღე ვფიქრობ, რომ ყველა ჩემი უკრაინელი მეგობარი მძაფრსიუჟეტიანი ფილმის პერსონაჟი გახდა. მათი ცხოვრება რეალურად იქცა დიდ ტრაგედიად და სევდად. პერფორმანსი გემზე, პირველ რიგში, ჩემს უკრაინელ მხატვარ მეგობრებს და ასევე, ყველა უკრაინელს მივუძღვენი. მინდოდა, რომ ჩემს ქალაქში, ქუჩაში, სანაპიროზე, ზღვის ჰორიზონტზეც კი, ყველგან აფრიალებულიყო უკრაინისა და საქართველოს დროშები. მინდოდა, გემზე მოგვესმინა პატრიოტული უკრაინული მუსიკალური კომპოზიციები, უკრაინულ მოტივებზე ჩაცმულებს გვემღერა და იმედი, სიძლიერე და საბრძოლო მუხტი გაგვეგზავნა შორს... ადამიანები ქუჩიდან, სანაპიროდან, სახლის ფანჯრებიდან, აივნებიდან, მანქანებიდან სიგნალებით, შეძახილებით გვამხნევებდნენ, ტაშს გვიკრავდნენ... გამოგვივიდა, რომ მათთვის გადაგვედო ემოცია, ყველას ცრმელიანი მზერა ჰქონდა, ოღონდ სიხარულიანი და იმედიანიც, ეს იყო განცდა ერთად დგომისა, საერთო დარდისა“, - გვითხრა მხატვარმა.

ხსენებულ ვიდეოჩანაწერებში უკრაინელი მხატვრები მადლიერებას გამოხატავდნენ იმ ყურადღების გამო, რომელსაც მათი მეგობარი, ქართველი მხატვარი იჩენს და მრავალგზის აღნიშნავენ, რომ მსგავსი მხარდაჭერა აუცილებელია, რათა იმ საშინელებებს გაუძლონ, რომელშიც იმყოფებიან. თავის დროზე კომფორტში მცხოვრები ეს საკმაოდ ცნობილი ადამიანები ახლა სოფლად გადავიდნენ, რათა მიწა დაამუშაონ და მოწეული მოსავლით თავი და ახლობლები გამოკვებონ, მათ გაუძლეს ხუთდღიან შიმშილობასაც (მხოლოდ წყალს სვამდნენ), სარდაფში გარეთ გაუსვლელად ცხოვრების მთელ საშინელებასაც, ახლობელი ადამიანების სიკვდილსაც, მშობლიური ქალაქების ნგრევასაც და იმედი აქვთ, ამ მსხვერპლს გამარჯვება მოჰყვება და ამ იმედით სიცოცხლესა და განსაცდელთან ბრძოლაში მათ სოლიდარობის ყოველგვარი გამოვლინება ეხმარება.

უკრაინაზე, მის პოეზიასა და კონკრეტულ ადამიანებზე, ომის პირობებში მათ ბედზე საუბარს მოჰყვა აღნიშნული წიგნის „კირკეს“ განხილვაც. წიგნის კლუბის ერთ-ერთი საგულისხმო თვისება ისიცაა, რომ აქ იშვიათი არაა კამათი, აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ მის წევრებს ბოლომდე შეუძლიათ, გამოხატონ თავიანთი, თუნდაც სხვებისთვის სრულიად მიუღებელი, აზრი.

„ძალიან დიდ სტიმულს მაძლევს შემოქმედებისა და ცხოვრებისთვის წიგნის კლუბი „არტპოლიგლოტი-პინა“, მახარებს, რომ იგი უკვე 1 წლისაა და ნამდვილია თავისი კონცეფციით, მისიით. იგი არაკომერციული და დახურული არტპროექტია და აერთიანებს ერთ სამეგობრო წრეს, რომელსაც ძალიან უყვარს ლიტერატურა. თვეში ერთხელ ან ორჯერ ვიკრიბებით სახელოსნოში და განვიხილავთ წაკითხულ წიგნებს, პერსონაჟებს, მანდარინების ბაღში ვაკეთებთ პოეზიის საღამოებს, ერთ წელიწადში საკმაოდ ბევრი საინტერესო წიგნი წავიკითხეთ და სხვადასხვა არტივენთიც გავაკეთეთ, რომელშიც ხელოვნების სხვადასხვა დარგი იყო შერწყმული. გვინდა, რომ ყველას გადავდოთ ლიტერატურის სიყვარული, პირველ რიგში, ეს არის დასვენების, განტვირთვის, ნამდვილი, ადამიანური ურთიერთობის კერა, სადაც აქცენტი სიკეთესა და სიყვარულზეა. კლუბში 30 კაცამდეა, მაგრამ ყოველ ჯერზე სახელოსნოში მონაცვლეობით 10-კაციან ჯგუფებად ვიკრიბებით. კლუბელებისთვის განსაკუთრებულ გამოწვევად იქცა წიგნის სწრაფი ტემპით წაკითხვა, რადგან წევრობის მთავარი პირობაა, გარკვეულ დროში, ანუ სწრაფად ნაწარმოების წაკითხვა. აუცილებელია, რომ კლუბელი იყოს ძალიან პუნქტუალური. წიგნის კლუბის დაარსებაც და შენარჩუნებაც შემოქმედებითი პროცესია, რაც ძალაინ მომწონს, ერთგვარი აზარტიც კია, უწყვეტი დინამიკაა, წინააღმდეგობებით, რომელთა დაძლევა ახალი გამოცდილებაა. იმდენად საინტერესო პიროვნებებმა მოიყარეს აქ თავი, რომ, ვფიქრობ, რამდენიმე მათგანის პორტრეტსაც კი შევქმნი და არც ის გაგიკვირდეთ, რომ ერთ დღეს წიგნის კლუბის სერიაც გამოვფინო. რეალურად საინტერესოა ჩემთვის მათი სხვა რაკურსით აღმოჩენა...“, - გვითხრა წიგნის კლუბის დიასახლისმა, რომელიც კლუბელებს ყოველი შეხვედრისას საინტერესო სიურპრიზებს უწყობს როგორც სახელოსნოსა და მისი შემოგარენის - მანდარინების საოცარი ბაღის სხვადასხვაგვარი დიზაინით, ისე კულინარიული მასპინძლობითაც კი. ფაქტია, კლუბის ყოველი წევრი მისი პატივისცემისა და სიყვარულის ობიექტი რომ არ იყოს, ამას ვერ შეძლებდა. იგი ყოველი შეხვედრის რეჟისორიცაა, ადგენს კლუბელთა ჩაცმულობის ერთ გამაერთიანებელ დეტალსაც (ვთქვათ წითელი, ნარინჯისფერი ან სხვა ფერის დომინანტურობას) და ამგვარად, ურთიერთობის განსაკუთრებულ შინაარსს გამორჩეულ ფორმასაც მატებს. მთავარი კი, რაც კლუბს განსაკუთრებულს ხდის, ეს მისი ყოველი წევრის ინდივიდუალურობა-თავისთავადობაა, რითაც სამართლიანად ამაყობს კლუბის დიასახლისი ნინო გოგოლიშვილიც და მისი ყოველი წევრიც.